ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 11 იანვარი, 2016 №7 (6933) ფასი: 50 თეთრი

## „ერდოღანის შეკითხვა პუტინისადმი ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს“

გვ.7

ჯემალ გამახარია:
„დღეს რუსეთს თურქეთთან დაპირისპირება სურს“



# თამაზ მეჭიაური: „მარგველაშვილთან ურთიერთობა დარეგულირდა“



„თავისუფალი დემოკრატები შეიძლება კოალიციაში დაბრუნდნენ“

გვ.2

„ახალმა პრემიერმა ოპონენტების მიმართ შედარებით რბილი პოლიტიკა აირჩია. ამასთან, არ შეიძლება არ აღვნიშნო ერთი გარემოებაც – პრეზიდენტს საპატრიარქოსთან კარგი დამოკიდებულება აქვს“





გვ.2

## რატომ ჩაფრინდა მთავრობა პანკისში



## კოტე კანდელაკი: „2016 წლის არჩევნებზე უპირატესობა „ქართულ ოცნებას“ ექნება“

გვ.4



## ეკა აბაშიძე: „ვან დეიკის ნახატი ჩვენი საკუთრება იყო“

გვ.3



ISSN 1987-9385

## სამხრეთ ოსეთის მთავარი პროკურორი მანქანამ გაიტანა

გვ.4



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# თამაზ მეჭიაური: „მარგველაშვილთან ურთიერთობა დარეგულირდა“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ დაუტკბნენ ერთმანეთს პრეზიდენტი და მმართველი გუნდი, ვისი ან რისი დამსახურებაა ეს, როდის უნდა გასაჯაროვდეს გაზპრომთან მიმდინარე მოლაპარაკებების დეტალები, როდის შეხვდება საპარლამენტო უმრავლესობა ბიძინა ივანიშვილს? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი თამაზ მეჭიაური ესაუბრება.

***— ბატონო თამაზ, ყველა ელოდება, რომ გიორგი კვირიკაშვილი პრეზიდენტ მარგველაშვილთან ურთიერთობას დაარეგულირებს. თქვენი აზრით, გამოვა თანამშრომლობა?***

— რატომ არ უნდა გამოვიდეს? ჩვენ შორის უფრო დარეგულირდა ურთიერთობა, რასაც აუცილებლად მოჰყვება შედეგი. მარგველაშვილი უფრო ზომიერი გახდა და იმ უფლებამოსილების ჩარჩოებიდან აღარ გამოდის, რაც მას კანონით აქვს განსაზღვრული.

***— პრეზიდენტის ზომიერება და ურთიერთობის დარეგულირება რისი ბრალია, მოახლოებული არჩევნების, გიორგი კვირიკაშვილის შერბილებული ტონის თუ საახალწლო განწყობის?***

— ყველაფერი ერთად უნდა ავიღოთ. მარგველაშვილი უკვე 2 წელიწადზე მეტია, რაც პრეზიდენტის სავარძელში ზის და გამოცდილება მიიღო. თავიდან ის ცდილობდა, ისეთივე პრეზიდენტი ყოფილიყო, როგორიც მისი წინამორბედი იყო, მაგრამ ავიწყდებოდა ის, რომ წინა ხელისუფლებამ შეცვალა კანონმდებლობა. შესაბამისად, პრეზიდენტის ფუნქციებიც შეიკვეცა და მარგველაშვილი ამას, როგორც იქნა, შეეგუა.

ახალმა პრემიერმა ოპონენტების მიმართ შედარებით რბილი პოლიტიკა აირჩია. ამასთან, არ შეიძლება არ აღვნიშნო ერთი გარემოებაც — პრეზიდენტს საპატრიარქოსთან ურთიერთობები დალაგებული აქვს.

***— თქვენთვის საპატრიარქოსთან ურთიერთობის დალაგება ასეთი მნიშვნელოვანია?***

— რა თქმა უნდა.

***— ეს სიამტკბილობა სადამდე გასტანს?***

— ვერ გეტყვით, გააჩნია, პრეზიდენტის ამბიციები სადამდე მიდის.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს სიამტკბილობა პრეზიდენტის ამბიციებზე იქნება დამოკიდებული?***

— მარტო პრეზიდენტის ამბიციებზე არ იქნება დამოკიდებული. როცა ადამიანი მისი პოლიტიკური წონის შესაბამის ამბიციებს ამჟღავნებს, მაშინ ბევრად იოლია ურთიერთობის



დალაგება. როდესაც ამბიციები პოლიტიკურ წონას არ შეესაბამება, იქ კონფლიქტი წარმოიშვება.

***— გასული წლის მიწურულს ითქვა, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის ფორმირება იანვარში დაიწყება. დაიწყო ამ მიმართულებით რაიმე სამუშაოები?***

— ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით, მართლა არ ვიცი, დაიწყო თუ არა საარჩევნო სიის დაკომპლექტება. შესაძლოა, რაღაც მონახაზები აქვთ. დეტალურად არაფრის თქმა არ შემიძლია, რადგან ამ პროცესებში ჩართული არ ვარ.

***— იანვარში დაგეგმილია საპარლამენტო უმრავლესობის შეხვედრა ივანიშვილთან. როდის გაიმართება ეს შეხვედრა?***

— ზუსტი თარიღი არ ვიცი, მაგრამ მასთან შეხვედრები აუცილებლად იქნება, სადაც გადაწყდება კოალიციის ძირითადი მიმართულებები და საარჩევნო სიასთან დაკავშირებული საკითხები.

***— არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე მთავრობაში დააბრუნეს დავით ზალკალიანი, რომელმაც***

## „თავისუფალი დემოკრატები შეიძლება კოალიციაში დაბრუნდნენ“

***2013 წლის შემოდგომაზე თავისუფალ დემოკრატებთან ერთად ხმაურით დატოვა კოალიცია. მისი მინისტრის მოადგილედ დანიშვნა არის თუ არა იმის წინაპირობა, რომ, შესაძლოა, თავისუფალი დემოკრატები უკან დაბრუნდნენ?***

— ამ ქვეყანაზე არაფერი გამორიცხული არ არის. სავსებით შესაძლებელია, რომ ისინი კოალიციაში დაბრუნდნენ, თუ სჯერათ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საგარეო კურსი არ შეიცვალა. როცა აქედან წავიდნენ, ამბობდნენ, საგარეო კურსი შეიცვალაო.

***— თქვენი აზრით, შეცვალა „ქართულმა ოცნებამ“ საგარეო კურსი?***

— ეს რაღაცით ხომ უნდა გამოიხატებოდეს? მე ამის ნიშანს ვერ ვხედავ და თამამად ვაცხადებ, რომ ჩვენი საგარეო კურსი არ შეცვლილა.

***— გაზპრომთან დაწყებულ მოლაპარაკებებზე რას იტყვით, არც ეს ნიშნავს კურსის ცვლილებას? საზოგადოების შეშფოთებას ის ფაქტი იწვევს, რომ მოლაპარაკების დეტალები გასაიდუმლოებულია.***

— მთელი ევროპა გაზპრომზე ზის და ვინმემ თქვა, რომ მათი საგარეო კურსი შეიცვალა? მოლაპარაკების დეტალების გასაიდუმლოებაში დიდ ტრაგედიას ვერ ვხედავ. არ ვამბობ, რომ ყველაფერი დაფარული უნდა იყოს, დეტალები იმ დოზით გასაჯაროვდება, რითაც ამას ჩვენი კანონმდებლობა ითხოვს.

***— რა სტადიაშია ეს მოლაპარაკება?***

— არ ვიცი და ვერც იმას ვიტყვით, რა შედეგი დადგა. როცა საქმე უკვე შეთანხმებამდე მივა, მერე პარლამენტიც დაინტერესდება და დეტალებიც გაირკვევა. ამ მოლაპარაკებაში მართლა ვერ ვხედავ პრობლემას. ამასთან, არც იმათ პატრიოტიზმში მეპარება ეჭვი, ვინც ამ მოლაპარაკებას აწარმოებს. დარწმუნებული ვარ, ისინი არანაირ ანტისახელმწიფოებრივ ხელშეკრულებას არ მოაწერენ ხელს.

***— თქვენ ამბობთ, რომ გაზპრომთან საიდუმლო მოლაპარაკების წარმოება ტრაგედია არ არის, მაგრამ, როცა საქმე რუსულ კომპანიას ეხება, იქ ცოტა მეტი სიფრთხილე არ არის საჭირო?***



— სიფრთხილის გამოჩენა ყველა დიდ კომპანიასთან არის საჭირო. ყველა ასეთ კომპანიას თავისი ინტერესები ექნება. ვიღაცას სურს, რომ ამ მოლაპარაკების დაწყების შემდეგ ჩვენ კურსის ცვლილება დაგვაბრალოს, მაგრამ ასე არაა. ამ შემთხვევაში მე ჩემი სახელით ვილაპარაკებ და ვიტყვი, რომ ჩემთვის კურსი არის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და ერთიანობა, მისი ტრადიციების შენარჩუნება. ამ ტრადიციებში შედის მართლმადიდებლობა და ეროვნული იდენტობა.

***— ფილოსოფოსმა გიგი თევზაძემ განაცხადა, რომ 7 იანვარს შობის აღნიშვნა რუსი ოკუპანტების მხარდაჭერაა. ამაზე რას იტყვით?***

— სამარცხვინოა, რომ ამ განცხადებას ილიას უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი აკეთებს. სხვა თუ არაფერი, ის მაინც უნდა იცოდეს, რა დაუბარა ილია ჭავჭავაძემ მემკვიდრეობას. მისთვის მთავარი იყო მამული, ენა და სარწმუნოება.

გიგი თევზაძე და მისი თანამოაზრეები ამ 3 მცნებას ხშირად აყენებენ შეურაცხყოფას. მამულის მიმართ ცუდი გამოხდომები აქვთ. ენასთან მიმართებაშიც ცნობილია მათი დამოკიდებულება. თევზაძე ილიას უნივერსიტეტის ტრიბუნას ხშირად უთმობდა საეჭვო წარმომავლობის „ცოცხალ კლასიკოსებსა და მწერლებს“.

სარწმუნოებაც არ დაუტოვებიათ შეურაცხყოფის გარეშე. რა შუაშია შობის თარიღი რუსეთთან. ქართველები, ოკუპანტებთან შედარებით, 7-8 საუკუნით ადრე აღვნიშნავდით ამ დიდებულ დღესასწაულს. ამხელა პროფესორმა, წესით, ეს კი უნდა იცოდეს.

# რატომ ჩაფრინდა მთავრობა პანკისში

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ, 10 იანვარს, პანკისში დიდი სტუმრიანობა იყო. მთავრობის წევრები თინა ხიდაშელის მეთაურობით ხეობაში ჩაფრინდნენ და მოსახლეობას პირადად გაესაუბრნენ.

ამირსპასალარ ხიდაშელის გარდა, პანკისს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი დავით ბაქრაძე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე რევაზ ჯაველიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველი ქეთი დუმბაძე სტუმრობდნენ.

მინისტრების ვიზიტამდე ერთი დღით ადრე პანკისში ლამის საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

როგორც კავკასიოლოგი სულხან ბორძიკაშვილი იუწყება, 9 იანვარს დილიდან

პანკისის ხეობაში დაიწყო რეიდები. მთელი დღე მანქანებს აჩერებდნენ და ჩხრეკდნენ.

— სასწაული ხდებოდა აქ... ბევრს აინტერესებდა, თუ რა იყო ამის მიზეზი, პირადი მესიჯებითა თუ ღია კომენტარებით გამოხატეს პროტესტი და მიზეზის გაგება უნდოდათ, — აღნიშნავს ბორძიკაშვილი.

პანკისში მთავრობის წევრები რამდენიმე ვერტმფრენით ჩაფრინდნენ. მათი მოგზაურობის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა სოციალური ქსელებით გავრცელდა და მას უარყოფითი შეფასებები მოჰყვა.





**თინა ხიდაშელი: „დედის 6 შვილთან ერთად სირიაში წასვლა არ არის არც ისლამი, არც რადიკალიზმი და არც ვაჰაბიზმი“**

საზოგადოებას აინტერესებდა, რა საჭირო იყო პანკისში რამდენიმე ვერტმფრენის ჩაფრენა, როცა შეიძლებოდა, ყველანი ერთ ვერტმფრენში მოთავსებულიყვნენ. ერი იმითაც დაინტერესდა, თუ რატომ არ წავიდნენ ხეობაში ავტომანქანებით. ამაზე ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ სახელმწიფოს ეს უფრო ძვირი დაუჯდებოდა.

ხეობაში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა ვიზიტს მოახლოებულ არჩევნებს უკავშირებენ.

მეოცნებეებმა ყველაზე უკეთესად თავად იციან, რომ პანკისში კარგად არ აქვთ საქმე. აქაურები შეუსრულებელი დაპირების გამო გაანაწყენეს. ხელისუფლებაში მოსვლამდე „ქართულმა ოცნებამ“ პირობა დადო, რომ ლაფანყურის ოპერაციას გამოიძიებდა და დამნაშავეებსაც დასჯიდა. ეს დაპირება — შეუსრულებლად, ლაფანყური კი პანკისელებისთვის მოუშუშებელ იარად რჩება.

როგორც ამბობენ, ეს საკითხი რამდენიმე თვეში გახდება აქტუალური, მანამდე კი ხელისუფლება პანკისელების გულების მოგებას სხვა მეთოდებით შეეცდება.

გუშინ კი მთავრობის წარმომადგენლებმა სოფელ ომალოში „კახეთის რეგიონული განვითარების ფონდის“ დახმარებით შექმნილი ელექტროშემდუღებლის კურსის მოსწავლეები და კურსის ხელმძღვანელი მოინახულეს და მოსახლეობასაც შეხვდნენ.

მთავრობის წევრებმა გვერდი ვერც უხუცესთა საბჭოს წევრებს აუარეს. მათთან შეხვედრა თავდაცვის მინისტრმა გამართა. ამირსპასალარმა და უხუცესებმა დიალოგი დახურულ კარს მიღმა გამართეს.

ჟურნალისტებთან საუბარში უხუცესებმა განაცხადეს, რომ მათ მთავრობას საზღვრებზე კონტროლის გამკაცრება სთხოვეს.

ბოლო დროს პანკისიდან სირიაში საომრად ბევრი ახალგაზრდა წავიდა. გასული წლის გაზაფხულზე სკოლის მოსწავლეებიც წავიდნენ.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, 200-მდე ახალგაზრდაა წასული პანკისიდან ისლამური სახელმწიფოს მხარეს საომრად.

ცოტა ხნის წინ ისიც გაირკვა, რომ პანკისელები სირიის თავისუფალ არმიაშიც იბრძვიან. ეს დაჯგუფება ებრძვის როგორც ისლამურ სახელმწიფოს, ასევე ბაშარ ალ ასადის რეჟიმს.

გასულ წელს უხუცესებმა ხელისუფლებას საგანგებო წერილი გაუგზავნეს და დახმარება სთხოვეს.

უხუცესები აცხადებენ, რომ ახალგაზრდების შემდეგ პანკისიდან სირიაში, სავარაუდოდ, 6 შვილის დედა ბავშვებთან ერთად წავიდა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ სირიაში ბავშვების გადაყვანასთან დაკავშირებით თავდაცვის მინისტრმა კომენტარი გააკეთა.

მინისტრის განცხადებით, შს სამინისტრო ეფექტურად მუშაობს, თუმცა სახელმწიფო პანკისელებს საზღვრის გადაკვეთას ვერ აუკრძალავს.

— 6 შვილის დედა ბავშვებთან ერთად წავიდა სირიაში. ამას არაფერი საერთო იმ პრობლემასთან არ აქვს, იმიტომ, რომ საუბარია მცირეწლოვან ბავშვებზე. ექვსივე არის ძალიან პატარა. ჩვენ ვერ ავკრძალავთ საზღვარზე ყველა ადამიანის მოძრაობასა და გადასვლას. ქალი, რომელიც მიდის ძალიან პატარა ბავშვებთან ერთად, არ არის არც ისლამი, არც რადიკალიზმი და არც ვაჰაბიზმი. აქამდე თუ მივედით, ხვალ შესაძლოა ვიღაცამ მე და თქვენც აგვიკრძალოს რაღაც მიზეზით საზღვრის გადაკვეთა, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მისივე განმარტებით, პრობლემის გადასაჭრელად აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებმა ხეობის მოსახლეობას საკუთარი ხედვის მთავრობისთვის წარდგენა შესთავაზეს.

ხიდაშელი აცხადებს, რომ მსგავსი ვიზიტები პანკისში მომავალშიც იქნება.

— მე ნებისმიერ დროს შემიძლია, აქ ჩამოვიდე. ისევე ვივლი, როგორც ადრე დავდიოდი, — აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა არეშიძე: „პანკისში ბევრად სტაბილური მდგომარეობაა, ვიდრე ვიღაცას ჰგონია“

ნონა ცაბაძე

ისლამური სახელმწიფოდან მომდინარე საფრთხეებზე ექსპერტი მამუკა არეშიძე არაერთხელ საუბრობდა. სიტუაცია ამ კუთხით მეტად საფრთხილოა. ექსპერტს ამის დამადასტურებლად ქვემო ფონიჭალაში მომხდარი ფაქტი მოჰყავს, სადაც რელიგიურ ნიადაგზე ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს.

– ასეთ ნიადაგზე მოკლული ადამიანების რიცხვი უკვე სამამდე ავიდა. ორი შემთხვევა იყო ფონიჭალაში და ერთი – სართიჭალაში. ორი წლის წინაც მოხდა მკვლელობა. მაშინ სალაფიტებმა მოკლეს შიიტი ახალგაზრდა და მერე შიიტებმა გადაწვეს სალაფიტების სამლოცველო სახლი. პრინციპში, ეს პროცესი გრძელდება, – განაცხადა მამუკა არეშიძემ „ახალ თაობასთან“ საუბარში.

***– და ეს ხდება აზერბაიჯანულ მოსახლეობაში?***

– დიახ, ეს აზერბაიჯანელ მოსახლეობაში ხდება. სხვაგან არ ხდება სალაფიტებისა და ტრადიციონალისტების დაპირისპირება ასეთი ფორმით. ეს სიტუაცია მისახედია. უკვე რამდენი წელია, ჩვენ ამაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ამას არ ექცევა შესაბამისი ყურადღება.

ხელისუფლების მხრიდან ყურადღების არმიქცევის ფაქტმა მიგვიყვანა სწორედ ამ მდგომარეობამდე.

***– დღევანდელ ხელისუფლებას გულისხმობთ?***

– არა. მე ვგულისხმობ ხელისუფლებებს 1995 წლიდან. 1995 წელს იმიტომ ვამბობ, რომ მაშინ გამოჩნდა პირველი სალაფიტი მოლა პანკისის ხეობაში და მთელი 10 წლის განმავლობაში პანკისი იყო მთელი საქართველოს სატკივარი.

***– ახალ სხვა რეგიონებიც დაემატა?***

– ახლა ამას დაემატა ქვემო ქართლი, გურია, აჭარა, კახეთის ზოგიერთი რეგიონი. ბოლოს ფონიჭალაში მოხდა ეს ყველაფერი და არ დაგავიწყდეთ, ფონიჭალა თბილისია!

***– რამდენად სახიფათოა ეს ყველაფერი?***

– პირველი დაპირისპირების ფორმატი არის ტრადიციონალისტებსა და სალაფიტებს შორის. ის, რაც ხდებოდა 90-იან წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში, ზუსტად მეორდება დღეს საქართველოში. იქაც ეგრე იყო.

***– რას გულისხმობთ?***

– თავიდან არ იყო ფედერალური ცენტრის წინააღმდეგ ბრძოლა. თავიდან იყო დაპირისპირება ტრადიციონალისტებსა და სალაფიტებს შორის. პირველი, ვინც მოკლეს სალაფიტებმა, იყო დაღესტნის მთავარი მუფტი. მერე მოკლეს გროზნოს მუფტი და მერე ამას მოჰყვა დაპირისპირების მთელი ჯაჭვი, რომელიც პრაქტიკულად დღემდე გრძელდება.

დღეს ეს ვითარება გადმოდის საქართველოში და ძალიან ფხიზლად უნდა ვიყოთ. შესაბამისი ზომებია მისაღები უშიშროების მხრიდან.

***– რა სახის ზომებზე საუბრობთ?***

– არა მხოლოდ რეპრესიული, არამედ საგანმანათლებლო, კულტუროლოგიური, ჰუმანიტარული, სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებია ჩასატარებელი იმისთვის, რომ ამ დაპირისპირებას თავი ავარიდოთ და ქვეყანა დავალაგოთ.

***– ხომ არ მოხდა ისე, რომ რაღაც საკითხები გამოეპარა უშიშროებას, სპეცსამსახურებს?***

– არა. სპეცსამსახურების და უშიშროების საქმე არის სიტუაციის შესწავლა, ანალიტიკური დასკვნის გაკეთება და დაცვა. დაცვა გულისხმობს რეპრესიულ მომენტებს. არ შეიძლება, მარტო უშიშროების იმედზე იყოს მიტოვებული ეს საქმე. არავითარ შემთხვევაში! უშიშროებას ამდენი რესურსი არ გააჩნია, იმიტომ, რომ კონსტიტუციურად მისი სამოქმედო არეალი შეზღუდულია.

***– კიდევ რა არის საჭირო, ვისი პასუხისმგებლობა იკვეთება?***

– დანარჩენი ხელისუფლების გასაკეთებელია. მაგალითად, აუცილებელია საგანმანათლებლო დაწესებულებების კონტროლი და შექმნა. საქართველოში არსებობს უამრავი საგანმანათლებლო დაწესებულება საკვირაო სკოლების სახით, მუსლიმანური ტაძრების სახით, რომელთაც საქართველოს განათლების სამინისტრო ვერ



„სალაფიტებისა და ტრადიციონალისტების დაპირისპირება მისახედია“




აკონტროლებს.

***– ამით რა გამოდის?***

– გამოდის ის, რომ საქართველოში არსებობს სოციალური დაწესებულება, სადაც, რას ასწავლიან, კაცმა არ იცის.

***– სწორედ ეს ხომ არ იყო შეცდომა, რომ მათ მიეცათ საშუალება, ამდენი მეჩეთი და სასწავლო ცენტრი აშენებულიყო?***

– ხშირ შემთხვევაში ნებართვას არ ითხოვდნენ, ისე შენდებოდა ეს ცენტრები. მეჩეთებზე არ მაქვს ლაპარაკი, ეს კიდევ სხვა თემაა. მიაქციეთ ყურადღება, რომ საქართველოში, ზოგ შემთხვევაში, გაუაზრებლად შენდება საკულტო დაწესებულება, არა მარტო მეჩეთები, არამედ ეკლესიებიც.

***– ამ ყველაფრის აკრძალვას არასამთავრობო სექტორის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვებოდა ხოლმე. ესეც ხომ გვახსოვს?***

– სახელმწიფომ უნდა იცოდეს, როგორ მიხედოს საზოგადოებრივ აზრს, როგორ გაუწიოს ანგარიში და რა მოიმოქმედოს იმისთვის, რომ ქვეყნის მდგომარეობა გააძლიეროს. თუ საზოგადოებრივ აზრსა და არასამთავრობოებზე ვილაპარაკებთ, მაგალითად, ფონიჭალელი არასამთავრობოები და საზოგადოების წარმომადგენლები 2010 წლიდან ითხოვდნენ, რომ არ აშენებულიყო იქ სალაფიტური მეჩეთი.

***– თუმცა მაინც აშენდა.***

– მაშინდელმა ხელისუფლებამ წაუყრუა. თბილისის მერიამ, უგულავას მეთაურობით, გასცა მეჩეთის აშენების ნებართვა და ეს მშენებლობა მაინც დაიწყო, თუმცა შიიტებმა ბოლომდე არ ააშენებინეს. შენობა დგას, მაგრამ გუმბათი არ აქვს, თუმცა, ხომ მაინც ააშენეს.

***– დღესაც ხომ სთხოვენ ხელისუფლებას გარკვეული ზომების მიღებას?***

– დღესაც სთხოვენ. უკვე მეხუთე წელიწადია, ერთსა და იმავეს ითხოვს ეს ხალხი და, ვიდრე ურემი არ გადაბრუნდა, მანამდე მისი დანახვა არავინ მოინდომა.

***– რამდენად სახიფათოა, როდესაც თბილისში რელიგიურ ნიადაგზე მკვლელობა ხდება?***

– რასაკვირველია, სახიფათოა. მართალია, იქ იყო ძველი საყოფაცხოვრებო თემაც. დაპირისპირება ადრეც იყო ამ ადამიანებს შორის, მაგრამ ამ ყველაფერმა მერე რელიგიური სახე მიიღო. რადგან ვიცით, რა მოტივითაც მოხდა ამ ადამიანის მკვლელობა – ის იმედის ეთერში სალაფიტების წინააღმდეგ გამოვიდა.

***– არის საშიშროება, რომ ამ ყველაფერს გაგრძელება მოჰყვეს?***

– ეს უკვე გაგრძელებული პროცესია. აკი გითხარით, რომ ეს უკვე მესამე მკვლელობაა. თუკი ამას არ მიექცა სერიოზული ყურადღება, მაშინ ეს კვლავაც გაგრძელდება.

***– რა მდგომარეობაა ამ მხრივ პანკისის ხეობაში?***

– პანკისში ამ მხრივ არის ბევრად სტაბილური მდგომარეობა, ვიდრე ვიღაცას ჰგონია. იქ ისეთი ჯგუფები გაძლიერდა, რომელთაც პანკისის ხეობის დესტაბილიზაცია არ აწყობს. ეს ჯგუფები წლების განმავლობაში იყვნენ დასუსტებულნი, მიტოვებული

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ეკა აბაშიძე: „ვან დეიკის ნახატი ჩვენი საკუთრება იყო“

**„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ სტამბოლში თურქეთის პოლიციამ დააკავა პირები, რომლებიც ფლამანდიელი მხატვრის ანტონ ვან დეიკის ნახატის გაყიდვას ცდილობდნენ.**

**მოგვიანებით გაირკვა ამ ტილოს ქართველი მეპატრონის სახელი. ის ეკა აბაშიძე აღმოჩნდა.**

ეკა აბაშიძის თქმით, ნახატი მისმა ძმამ, გიორგი აბაშიძემ, ვაკეში, ერთ-ერთ საკომისიოში 5.000 დოლარად შეიძინა. შემდეგ ოჯახმა მისი გაყიდვა გადაწყვიტა და შესაბამისი ხელშეკრულება მალხაზ მახარაძესა და ზაჰირ ჰუსეინოვთან გააფორმა, რომლებმაც შეთანხმებული 37.000 დოლარის ნაცვლად მხოლოდ 7.000 დოლარი გადაუხადეს.

ზაჰირ ჰუსეინოვი ადასტურებს, რომ აბაშიძეების ოჯახისგან შეძენილი ტილო თურქეთში გაიტანა, თუმცა აცხადებს, რომ ეს ლეგალურად მოხდა. ამასთან, ჰუსეინოვი, რომელიც ამჟამად გარდაბანში ცხოვრობს, თავს დაზარალებულად მიიჩნევს, ვინაიდან, მისი თქმით, ტილოს საფასური მისთვის არავის გადაუხდია.

– მე და ჩემმა მეგობარმა მალხაზ მახარაძემ სურათი აბაშიძეებისგან ყველა წესის დაცვით შევიძინეთ, მოგვიანებით კი დოკუმენტაციის გასაფორმებლად სურათი კულტურის სამინისტროში შესაბამის პირებს ვაჩვენეთ. უწყებაში ფერწერული ტილო 5.000 ლარად შეაფასეს, თუმცა ავტორის დადგენა ვერ მოხერხდა, – უთხრა ჰუსეინოვმა რუსთავი 2-ს.

ის ამბობს, რომ მათ სამინისტროში უთხრეს, რომ საქმე ძველ ნამუშევართან ჰქონდათ.

– ტილოს საზღვარზე გადატანის დროს ყველა დოკუმენტი თან გვქონდა და საქართველოდან მისი გატანა ლეგალურად მოხდა. თავდაპირველად სურათი სამსუნში, ჩვენს მეგობართან დავტოვეთ, თუმცა, როგორც შემდეგ გავარკვიეთ, ოჯახიდან ტილო ჩემი მეგობრის შვილმა მოიპარა. ადგილობრივ პროკურატურაში ეს ფაქტი გავასაჩივრეთ, თუმცა საქმე ამ დრომდე გამოუძიებელია. მეც დაზარალებული ვარ, რადგან სურათის საფასური ჩემთვის არავის გადაუხდია. ჩემთვის არც საგამოძიებო უწყებას და არც სხვა პირებს არ მოუმართავთ, – განუცხადა ჰუსეინოვმა რუსთავი 2-ს.

ეკა აბაშიძე 10 იანვარს ფინანსურ პოლიციაში დაიბარეს.

– ტილოს თაობაზე სურთ შეხვედრა და არ ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები. ამ ეტაპზე რაც მაქვს, იმ ინფორმაციას მივაწვდი, მათ შორის ჰუსეინოვის ხელწერილსა და სასამართლო გადაწყვეტილებას, ორშაბათს კი სასამართლოდან ამოვიღებ ყველა იმ დოკუმენტს, რომლებიც არსებობს და დამატებით ინფორმაციას წარვადგენ, – განაცხადა აბაშიძემ ფინანსურ პოლიციაში შესვლამდე.

მისი თქმით, ის უჩივის ჰუსეინოვს, რომელმაც თაღლითობით წაიღო ტილო და სრული თანხა არ გადაიხადა.

ეკა აბაშიძემ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს ვან დეიკის ტილოსთან დაკავშირებით დოკუმენტაციის ნაწილი წარუდგინა.

როგორც საგამოძიებო უწყებიდან გამოსულმა აბაშიძემ ინტერპრესნიუსს განუცხადა, საგამოძიებო უწყებაში მისი დაბარება გამოძიების ინიციატივით მოხდა.



ზაჰირ ჰუსეინოვი



„ორშაბათს შესაბამის დოკუმენტაციას სრულად წარვადგენ“

– თვითონ დამირეკეს და დაინტერესდნენ ამ ამბით. ინფორმაცია იგივე მოვუყევი მათ, რაც ჟურნალისტებთან მაქვს მოყოლილი. ორშაბათს სრულად წარვადგენ დოკუმენტაციას, რომ ეს ტილო ნამდვილად ჩვენს ოჯახში იყო და ჩვენი საკუთრება გახლდათ. ორშაბათს მივიტან ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომელიც ჰუსეინოვთან არის გაფორმებული, ასევე წარვადგენ საბუთებს, რომ მან იყიდა ნახატი და არ გადაიხადა თანხა სრულად. კიდევ მაქვს სურათები, სადაც დაფიქსირებულია, რომ დედაჩემის ოჯახში კიდია ეს სურათი ჩარჩოთი, – აღნიშნა ეკა აბაშიძემ.

მისივე ინფორმაციით, ზაჰირ ჰუსეინოვთან, რომელმაც მისგან ვან დეიკის ტილო შეიძინა, თავდაპირველად სატელეფონო კომუნიკაცია ჰქონდა, თუმცა 2 წელია, მასთან კონტაქტი შეწყვიტა. აბაშიძის თქმით, ზაჰირ ჰუსეინოვს მასთან აღნიშნული ტილოს მოპარვის ან დაკარგვის შესახებ არ უსაუბრია.

– ალბათ, გამოიკვლევენ, რამდენად რეალობას საუბრობს ჰუსეინოვი. ჩვენთან მიმართებით მე ვთვლი, რომ ჰუსეინოვმა ბევრი ტყუილი თქვა. მან სამართლებრივად სწორად შეიძინა ნახატი, თუმცა არ გადაიხადა თანხა. მართალია, იყო ხაზზე, თუმცა მატყუებდა გამუდმებით. ახლახან გამახსენეს, რომ როდესაც მას მიუვიდა სასამართლო უწყება ოჯახში და მან ჩაიბარა გადაწყვეტილება, ჰუსეინოვმა დამირეკა მობილურზე და მითხრა, რატომ გავაკეთე ეს და რატომ ჩავრიე პოლიცია. ის იყო შეშფოთებული. ამის შემდეგ არანაირი კონტაქტი აღარ გვქონია. მას ჩემთან ტილოს მოპარვაზე არ უსაუბრია, – განაცხადა ეკა აბაშიძემ.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# კოტე კანდელაკი: „2016 წლის არჩევნებზე უპირატესობა „ქართულ ოცნებას“ ექნება“

ნათია ხურცილავა



„სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის“ ხელმძღვანელი, ექსპერტი კოტე კანდელაკი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საარჩევნო კოდექსზე საუბრობს.

**კოტე კანდელაკი:**

– საარჩევნო კანონმდებლობა, რომლის ცვლილებასაც ოპოზიციური პარტიები ითხოვენ, უკვე დაგვიანებულია. საუბარია მაჟორიტარულიდან პროპორციულ სისტემაზე გადასვლაზე. მოგეხსენებათ, ეს საკონსტიტუციო ცვლილებებს საჭიროებს. არჩევნებამდე კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა ვერ ესწრება.

***– პრეზიდენტმა, როდესაც ხელი მოაწერა საარჩევნო ცვლილებებს, პარტიებს კონსულტაციებისკენ მოუწოდა.***

– კონსულტაციები პოლიტიკურ ძალებს შორის გვიან არასდროს არის. კონსულტაციები, მსჯელობა შეიძლება გაიმართოს იმასთან დაკავშირებით, ერთმანდატიანი უნდა იყოს თუ მრავალმანდატიანი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მე დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ, პირიქით.

რაც შეეხება უკვე მიღებულ ცვლილებებს პარლამენტის მიერ, რომელსაც ხელი მოაწერა პრეზიდენტმა, პარლამენტმა გაითვალისწინა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ასევე გაითვალისწინა ვენეციის კომისიის მრავალწლიანი რეკომენდაციები და მეტ-ნაკლებად გაათანაბრა მაჟორიტარული ოლქები.

ეს, ჩემი აზრით, ნამდვილად არის წინ გადადგმული ნაბიჯი. ამბობენ, რომ ეს მხოლოდ ტექნიკური ცვლილებებია, სწორედ ამ ტექნიკურ ცვლილებებს ითხოვდა ვენეციის კომისია წლების განმავლობაში, მაგრამ არცერთმა ხელისუფლებამ ეს ცვლილებები რეალობაში ვერ გაატარა.

***– განხორციელებული ცვლილებები ვენეციის კომისიის მოთხოვნის ადეკვატურია?***

– დიახ და ამიტომაც ვამბობ, რომ ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი და ეს მისასალმებელია. ჯობდა, მთლიანად პროპორციულ სისტემაზე ახლავე გადავსულიყავით, მაგრამ პარლამენტში მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას მოწინააღმდეგეები ჰყავს. ამდენად, ამ ცვლილებებს შეიძლებოდა ძალიან დიდი წინააღმდეგობა შეხვედროდა პარლამენტში, რადგან კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა ძალიან არის გართულებული.

**ჯობდა, მთლიანად პროპორციულ სისტემაზე ახლავე გადავსულიყავით, მაგრამ პარლამენტში მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას მოწინააღმდეგეები ჰყავს. ამდენად, ამ ცვლილებებს შეიძლებოდა ძალიან დიდი წინააღმდეგობა შეხვედროდა პარლამენტში, რადგან კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა ძალიან არის გართულებული**

***– ოპოზიციამ შეაგროვა საკონსტიტუციო ცვლილების ინიცირებისთვის საჭირო 200 ათასი ხელმოწერა. ეს პროცედურა უგულებელყოფილია?***

– ცხადია, 200 ათასი ხელმოწერა არის წინაპირობა, რომ პარლამენტმა განიხილოს ეს საკითხი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც მიიღოს და მხარი დაუჭიროს.

***– დღეს ხელისუფლება ამბობს, რომ 2020 წლისთვის გადავა პროპორციულ სისტემაზე. რატომ ვერ შეძლო ეს ახლა ხელისუფლებამ?***

– ჩვენ 2020 წლისთვის მაინც უნდა ვიბრძოლოთ, რომ განსხვავებული საარჩევნო სისტემა მივიღოთ, მანდატების უფრო სამართლიანი გადანაწილება. მე არ ვიცი, როგორი კონფიგურაცია იქნება მომავალ პარლამენტში და რამდენად შეძლებს პარლამენტი, მხარი დაუჭიროს 2020 წლისთვის მთლიანად შერეული სისტემიდან პროპორციულზე გადასვლას.

***– მაჟორიტარული სისტემის მომხრეების არგუმენტია, რომ კონკრეტულ პიროვნებას ირჩევ და სწორედ მას მოსთხოვ პასუხსაც, განსხვავებით პროპორციული სიებისგან, სადაც შეიძლება უღირსი ადამიანი გაიპაროს და ამაზე პასუხი არავინ აგოს.***

– მაჟორიტარული სისტემის მომხრეებს ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი მოჰყავთ, მაგრამ იქ ორპალატიანი პარლამენტია და თანაც ამ სისტემას დიდი ხნის ისტორია აქვს.

მაჟორიტარული სისტემის ნაკლი არის მანდატების გადანაწილება. პროპორციული სისტემა კი მხარდამჭერების რაოდენობის მიხედვით ანაწილებს მანდატებს პარლამენტში, გამარჯვებული გამარჯვებულია. რაც შეეხება თქვენს არგუმენტს კონკრეტულ ადამიანებთან დაკავშირებით, პროპორციულ სიებშიც კონკრეტული ადამიანები არიან.

## „ცვლილებები საარჩევნო კოდექსში წინ გადადგმული ნაბიჯია“

ევროპაში უკვე დაინერგა, რომ ამომრჩეველი ხმას აძლევს არა მხოლოდ პარტიას, არამედ პარტიის შიგნით კონკრეტულ კანდიდატს. ცხადია, ცოტა მეტი დროა საჭირო, რომ ამომრჩეველმა ეს სისტემა კარგად გაითავისოს, მაგრამ, ვფიქრობ, ეს უფრო სამართლიანი სისტემაა.

ასევე ერთპალატიან პარლამენტში, რომელიც ჩვენ გვაქვს, მაჟორიტარული სისტემით არჩეული დეპუტატი პარლამენტში წარმოადგენს არა ამომრჩეველს, არამედ ტერიტორიებს. ეს არის არასწორი პრაქტიკა. თითქოს მხოლოდ ამა თუ იმ ტერიტორიას წარმოადგენს დეპუტატი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, რეალურად კი ამომრჩეველს უნდა წარმოადგენდეს და მის ინტერესებს იცავდეს.

***– 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მთავარი ნიშანი რა იქნება, რაც გამოარჩევს მას წინა არჩევნებისგან?***

– 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები იქნება განსხვავებული და ეს არ იქნება ორპარტიული. ეს იქნება მრავალპარტიული არჩევნები, კონკურენციაც უფრო მაღალი იქნება. მიუხედავად ამისა, მე მაინც ვფიქრობ, რომ ამ არჩევნებზე უპირატესობა მაინც კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ექნება. ასევე განსხვავება იქნება იმაში, თუ რამდენად სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარდება ეს არჩევნები.

***– თქვენ რა მოლოდინები გაქვთ, რამდენად დემოკრატიულად ჩატარდება არჩევნები?***

– მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. მე მაქვს მოლოდინი, რომ ეს არჩევნები კიდევ ერთი წინ გადაგმული ნაბიჯი იქნება დემოკრატიის კუთხით ჩვენი ქვეყნისთვის. თუნდაც 2013 და 2014 წლების არჩევნებისგანაც განსხვავებული არჩევნები იქნება, იქიდან გამომდინარე, რომ საარჩევნო დემოკრატიის თვალსაზრისით უფრო წინ გადავდგამთ ნაბიჯს.

ცხადია, ამ შემთხვევაში მე ყურადღებას კონკურენციასა და კონკურენტულ გარემოზე ვამახვილებ. საერთაშორისო თანამეგობრობის მოლოდინიც უფრო მაღალია და უფრო დემოკრატიული სტანდარტების ადეკვატურია. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

მე ვფიქრობ, რომ ეს უნდა იყოს ერთგვარი გარდამავალი ეტაპი, როდესაც ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეები, პოლიტიკური სპექტრი აღარ დავიწყებთ საუბარს იმაზე, რომ არჩევნები გაყალბდა, ხმის უფლება წაგვართვეს. ეს უნდა ჩაბარდეს წარსულს. ჩვენ სხვა გზა, უბრალოდ, აღარ გვაქვს.

ეს არჩევნები ყველაზე მეტად იქნება სამართლიანი და თავისუფალი, რაც აქამდე საქართველოში ჩატარებულა, მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის არჩევნებზე ხელისუფლება დამარცხდა და ოპოზიციამ გაიმარჯვა.

ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების შეფასებისას წინასაარჩევნო გარემოსა და პერიპეტიებს. 2012 წლის საარჩევნო გარემო როგორი იყო ჩვენს ქვეყანაში, ეს ყველასთვის კარგად არის ცნობილი ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც. მე მოლოდინი მაქვს, რომ ამ არჩევნებზე წინასაარჩევნო გარემო იქნება მშვიდი და საარჩევნო პროგრამებზე ორიენტირებული.

# სამხრეთ ოსეთის მთავარი პროკურორი მანქანამ გაიტანა

შორენა მარსაგიშვილი

სამხრეთი ოსეთის ყოფილ ვიცეპრემიერ ალა ჯიოევას შვილის ქორწილი რესპუბლიკის მთავარი პროკურორისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ქორწილიდან მომავალი მერაბ ჩიგოევი გამვლელმა ავტომანქანამ გაიტანა.

შემთხვევა ცხინვალის ცენტრში, სტალინისა და ალან ჯიოევის ქუჩების კვეთაზე მოხდა. მერაბ ჩიგოევის ავტომანქანა სწორედ ამ ადგილას იდგა.

როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, ჩიგოევმა მანქანის კარი გააღო, მაგრამ ჩაჯდომა ვერ მოახერხა. მას გამვლელი მანქანა დაეჯახა.

მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაშავებული ჩიგოევი კი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ის ცხინვალის რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ საავადმყოფოში გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

ინციდენტიდან ცოტა ხანში სამართალდამცავებმა დამნაშავე მძღოლი დააკავეს. მერაბ ჩიგოევი 1982 წელს დაბადებულმა მოქალაქემ, გვარად თედეევმა, შეიწირა.

ოსური მედიის ცნობით, მან უკვე მისცა სამართალდამცავებს ჩვენება და აღიარა, რომ მანქანას ნასვამ მდგომარეობაში მართავდა.

მერაბ ჩიგოევი 1950 წლის 15 თებერვალს ახალგორში დაიბადა. მან მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა.

ის წლების განმავლობაში მუშაობდა მოსკოვის საგამოძიებო ორგანოებში, მოგვიანებით ცხინვალის რეგიონსა და ჩრდილოეთ ოსეთშიც გადაინაცვლა.

1996-1998 წლებში მას სამხრეთი ოსეთის მთავარი პროკურორის პოსტი ეკავა. 1998-2000 წლებში სამხრეთი ოსეთის მთავრობის მეთაური იყო. 2000 წელს მეორედ დაინიშნა რესპუბლიკის მთავარ პროკურორად.

ამ თანამდებობაზე ის 2004 წლამდე დარჩა. 2004 წელს კოკოითიმ იუსტიციის მინისტრად დაინიშნა. ამ პოსტზე 2008 წლამდე დარჩა. 2012 წლამდე პრეზიდენტის თანაშემწე იყო და პოსტკონფლიქტური სიტუაციის დარეგულირებით იყო დაკავებული. 2012 წლის 25 აპრილს მესამედ დაინიშნა მთავარ პროკურორად.



მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცხინვალში უკვე გაჩნდა ვერსიები. იმასაც ამბობენ, რომ ჩიგოევი მომავალ წელს საპრეზიდენტო არჩევნებში გეგმავდა მონაწილეობას და გარკვეულმა ძალებმა მოიშორეს.

მომხდარს უკვე გამოეხმაურნენ ცხინვალელი პოლიტიკოსები. მათი უმეტესობა აღნიშნავს, რომ ცხინვალში ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაიჭრას ნასვამი მძღოლების პრობლემა.

რამდენიმე თვის წინ სამხრეთი ოსეთის პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად, ნასვამი მძღოლები მკაცრად დაისჯებიან.

მერაბ ჩიგოევის შემთხვევა ცხადყოფს, რომ ცხინვალში ეს პრობლემა კვლავაც მოუგვარებელია. ნასვამი მძღოლების წყალობით აქ ხშირად ხდება ავტოსატრანსპორტო შემთხვევები.

მომხდარზე მკვეთრი რეაქცია ჰქონდა სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ლეონიდ თიბილოვს. მან საგანგებო თათბირი გამართა და სათანადო უწყებებს საავტომობილო გზებზე წესრიგის დამყარება დაავალა.

– ჩვენ დავკარგეთ ქვეყნის პატრიოტი და თავისი საქმის პროფესიონალი. დიახ, ეს დანაშაული დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. დამნაშავე კანონის სრული სიმკაცრით უნდა დაისაჯოს. მერაბ ჩიგოევის ადგილას ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლებოდა აღმოჩენილიყო, – აღნიშნა თიბილოვმა.

საგანგებო თათბირზე მან პარლამენტის მიერ მიღებული და მის მიერ ხელმოწერილი დადგენილებაც გაიხსენა.

– რესპუბლიკის შსს-მ მოამზადა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაზე ჯარიმები გამკაცრდა. ეს პარლამენტმა მოიწონა და კანონს მეც მოვაწერე ხელი, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს საკმარისი არ არის. ყველამ ვიცით, რომ მძღოლების ნაწილი არაფრად აგდებს ამ კანონს და საჭესთან არაფხიზელ მდგომარეობაში ჯდება, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

მისი განცხადებით, კანონს ხშირად ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის სამართალდამცავებიც არღვევენ.

რესპუბლიკის შს მინისტრ ახსარ ლავოევის თქმით, ამ დღეებში რესპუბლიკაში ჩამოვლენ რუსი სპეციალისტები, რომლებიც რადარებს დააყენებენ და სამხრეთელებს პროექტ „უსაფრთხო ქალაქის“ განხორციელებაში დაეხმარებიან.

– ცხინვალში დამონტაჟდება 50 ვიდეოკამერა, რაც საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევი მძღოლების გამოვლენაში დაგვეხმარება, – ამბობს ლავოევი.

შს მინისტრი დარწმუნებულია, რომ ეს ზომები აუცილებლად გამოიღებს შედეგს და ცხინვალის გზებზე ვითარება გამოსწორდება.

თიბილოვმა ეს ამბავი მოიწონა, მაგრამ სამართალდამცავებს ხალხთან მუშაობისკენაც მოუწოდა.

– ყველაფერი მაინც ადამიანზეა დამოკიდებული. ჩვენმა მოქალაქეებმა უნდა შეიგნონ, რომ კანონის დარღვევის შემთხვევაში კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან. ჩვენ მიღებული გვქონდა კანონი, რომლითაც ჯარიმები გამკაცრდა, მაგრამ ვნახეთ, რომ ამან სათანადო შედეგი არ გამოიღო, – აცხადებს თიბილოვი.

მან სამართალდამცავებს მოსთხოვა, წარმოადგინონ 2012 წლის აპრილიდან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევების სტატისტიკური მონაცემები. ეტყობა, აინტერესებს, მისი პრეზიდენტობისას რამდენი ავარია მოხდა.

ჩიგოევის შემცვლელს ცხინვალში ამ დღეებში დაასახელებენ. მანამდე კი მხოლოდ ის გადაწყდა, რომ მთავარი პროკურორის დაკრძალვის ხარჯებს ხელისუფლება გაიღებს.

# მამუკა არეშიძე: „პანკისში ბევრად სტაბილური მდგომარეობაა ვიდრე ვილაცას ჰგონია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

და, როგორც ჩანს, ახლა წელში გაიმართნენ. პანკისიდან ბოლო თვეების განმავლობაში ერთი ახალგაზრდაც აღარ წასულა სირიაში საომრად.

***– რასაც სხვა რეგიონებზე ვერ ვიტყვით.***

– დიახ, ასეა. აჭარასა და გურიაში ამ თვალსაზრისით ბევრად რთული მდგომარეობაა.

***– რატომ?***

– პანკისში გააზრება მოხდა მთელი ამ ვითარებისა, რომელიც დაკავშირებულია სალაფიზმთან, ისლამის ამ ახალ მიმდინარეობასთან. ამ კუთხით სიტუაცია გადალაგდა და დაპირისპირების ფორმატი შემსუბუქდა. გურიასა და აჭარაში ეს უფრო ახალი ხილია და ბევრად უფრო აგრესიულად ხდება ახლის დამკვიდრება, სალაფიზმის იმ სახეობისა, რომელიც თურქეთიდან შემოვიდა აჭარაში.

***– სხვა რა ღონისძიებებია ხელისუფლების მხრიდან გასატარებელი?***

– საგანმანათლებლოს შესახებ უკვე მოგახსენეთ. გარდა ამისა, არის კლასიკურად ინფრასტრუქტურული თემები.

***– კონკრეტულად?***

– პანკისელები წლებია, საჭიდაო დარბაზს ითხოვენ, მეტად სპორტული ადამიანები არიან. ამის გაკეთებას 25 წელი დასჭირდა და, როგორც იქნა, გაკეთდა. ეს ინფრასტრუქტურული პროექტის კლასიკური ნიმუშია. იმავე უზარმაზარ ქვემო ქართლში სპორტული დაწესებულებები მინიმალურია. ეს თემა სერიოზულად მისახედია. სპორტული რესურსი არსებობს და ამას სჭირდება სერიოზული მიხედვა, ისევე, როგორც კულტურულ რესურსს და ეს ყველაფერი ხელისუფლების გასაკეთებელია.

ასევე რეგიონის ეკონომიკაც მისახედია. ორივე ხელით მივესალმები კანონს, რომელიც მიიღო საქართველოს ხელისუფლებამ მთიანი რეგიონების განვითარებასთან დაკავშირებით. დიდ გარდატეხას შეიტანს ეს ყველაფერი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში. ეს შედეგი ხვალ და ზეგ აუცილებლად გამოჩნდება.

# რას უქადის რუსეთის ახალი სტრატეგია მეზობელ ქვეყნებს?

**აშშ-მ და ნატომ უკვე გამოხატეს შეშფოთება რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების ახალ სტრატეგიასთან დაკავშირებით, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტმა მოაწერა ხელი.**

**რა რისკებს შეიცავს ახალი დოკუმენტი რეგიონის სახელმწიფოებისთვის? უკრაინული სააგენტო უნიანის შეფასებით, რუსეთის ახალი სტრატეგია იმაზე მეტ მუქარას შეიცავს, ვიდრე ადრე დამტკიცებული სამხედრო დოქტრინა.**



მარიამ მჭედლიშვილი

ახალ დოკუმენტში რამდენჯერმე ნახსენებია ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის გამოყენების რისკები. რუსეთმა მანამდეც გამოაქვეყნა მოხსენებები იმის თაობაზე, რომ აშშ აფართოებს თავისი ბიოლოგიური ობიექტების ქსელს რუსეთის გარშემო.

უნიანი ვარაუდობს, რომ ამ ქსელში იგულისხმება აშშ-ის ლაბორატორიები უკრაინაში, საქართველოსა და ყაზახეთში. საკუთარ საზღვრებთან რუსეთი გეგმავს მაღალტექნოლოგიური და მრავალფუნქციური კომპლექსების განთავსებას.

უსაფრთხოების ახალ სტრატეგიაში გამოთქმულია რუსეთის ფედერაციის მზადყოფნა, გამოიყენოს ბიოლოგიური იარაღი რეგიონში აშშ-ის ლაბორატორიებიდან ბიომასალების გაჟონვის საბაბით.

მთავარ მოწინააღმდეგეებად რუსეთი ასახელებს აშშ-სა და ნატოს.

ახალი სტრატეგიის თანახმად, სამხედრო ხასიათის ზომები განისაზღვრება ქმედებებად, რომელთაც იყენებენ მაშინ, როცა შეუძლებელი ხდება მიზნების მიღწევა დიპლომატიური გზით. ამრიგად, სამხედრო ძალის გამოყენება გამოდის თავდაცვითი აუცილებლობის ფარგლებიდან. ეს კი მიუთითებს, რომ რუსეთი გადადის შეტევით კონცეფციაზე. რუსეთი საგარეო პოზიციებს გაიძლიერებს ძალის გამოყენების ხარჯზე.

დოკუმენტის მთავარი გზავნილი რუსეთის ფედერაციის მილიტარიზაციაა.

სტრატეგიით, სახელმწიფო და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას პრობლემებს უქმნის სულიერი და ზნეობრივი ფასეულობების ნგრევა, რაც, უნიანის აზრით, გულისხმობს უშიშროების ორგანოების აქტიურობის ზრდასა და განსხვავებული აზრის დევნას.

ახალი დოკუმენტის შესაბამისად, საფრთხის შემცველია საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება ფაშიზმის, ექსტრემიზმის, ტერორიზმის, სეპარატიზმის იდეოლოგიის პროპაგანდისათვის, რაც ასევე შეზღუდვებს მოასწავებს.

არსებობს აზრი, რომ რუსეთი ზოგ შემთხვევაში ხელს იღებს ძალის გამოყენებაზე.

ამერიკული ნიუსუიკის შეფასებით, რუსეთს აღარ უნდა ომი უკრაინაში და ის უარს ამბობს ნოვორისიის პროექტზე, რომლის თანახმად, უკრაინის 8 ოლქი უნდა შეერთებოდა რუსეთს. ახალი მიდგომების მაჩვენებელია ყოფილი მაღალჩინოსნის, ამჟამად პუტინის თანაშემწე ბორის გრიზლოვის დანიშვნა რუსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიან წარმომადგენლად უკრაინაში სიტუაციის დარეგულირების საკონტაქტო ჯგუფში. ამერიკული მედიის სიტყვებით, გრიზლოვი უკრაინას კრემლის სახელით დაელაპარაკება და დათმობებზეც წავა.

სავარაუდოდ, რუსეთს არ შეუცვლია გეგმები უკრაინისა და სხვა მეზობელი სახელმწიფოების დაშლის თაობაზე. ექსპერტების აზრით, ბოლო დროს უკრაინის არაერთმა ოლქმა გამოთქვა დეცენტრალიზაციისა და რეგიონების უფლებების გაზრდის სურვილი – ხარკოვის, ზაპოროჟიეს, ზაკარპატიეს კვალდაკვალ, ხმა ამოიღო ოდესამაც. ოდესის ოლქსა და ქალაქ ოდესაში გამოცოცხლდნენ პორტო-ფრანკოს რეჟიმის მომხრეები.

ეს დაემთხვა აშშ-ის ახალ პოზიციას იმის შესახებ, რომ უკრაინამ უნდა შეცვალოს ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა.

ამას მტკივნეულად აღიქვამენ კიევში. პორტო-ფრანკოს რეჟიმის შემოღება და ოდესისათვის ამ სტატუსის მინიჭება კატეგორიულად მიუღებელია უკრაინის ხელისუფლებისათვის. შექმნილ სიტუაციაში ეს ახალი სახალხო რესპუბლიკის გამოცხადებას ნიშნავს.

ექსპერტების აზრით, ოდესის გუბერნატორი სააკაშვილი თავისი თავდასხმებით სწორედ უკრაინის ცენტრალური ხელისუფლების ჩიხში მომწყვდევას ცდილობს, რათა საჭირო მომენტში მისთვის სასურველ დათმობას მიაღწიოს.

ფართო უფლებები მთელი ოლქისა და ოდესის ნავსადგურისათვის ძალიან მიმზიდველია თავად სააკაშვილისთვისაც. პორტო-ფრანკოს სტატუსის შემთხვევაში შესაძლებელი გახდება მომგებიანი ობიექტების პრივატიზება და სხვა აქტივების ხელში ჩაგდება.

## გია ჟორჟოლიანი პარტიებს რისხოვნებას უწუნებს



საპარლამენტო უმრავლესობის წევრ გია ჟორჟოლიანის თქმით, პროპორციული საარჩევნო სისტემის 2016 წლისთვის შემოღების საწინააღმდეგოდ მისი მთავარი არგუმენტი არის ის, რომ საქართველოში არსებულ პარტიებს საზოგადოებაში ძლიერი დასაყრდენი არ აქვთ.

ჟორჟოლიანის თქმით, ამჟამად არსებული თავისუფალი გარემო ხელს შეუწყობს იმას, რომ 2020 წლის არჩევნებისთვის პარტიები უფრო კარგად მოემზადონ და უფრო ძლიერი საზოგადოებრივი დასაყრდენი მოიპოვონ:

– ჩვენ პოლიტიკურ ელიტას სჭირდება მეტი საზოგადოებრივი დასაყრდენი. პროპორციული არჩევნები ტრადიციულად ჩამოყალიბდა იმ ქვეყნებში, სადაც პარტიები ასწლეულებია არსებობენ და მათ საზოგადოებაში მყარი დასაყრდენი აქვთ. ჩვენში და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებულ პარტიებს მოიხსენიებენ, როგორც „დივნის პარტიებს“, რაც ნიშნავს იმას რომ მისი წევრები შესაძლოა ერთ დივანზე დაეტიონ. პარტიების ჩამოყალიბებას დრო სჭირდება. ამას სჭირდება შემდგომი აქტიური მონაწილეობა, – განაცხადა გია ჟორჟოლიანმა.

**ნიუპოსტი**

## ნაციონალური მოძრაობა „ქართულ ოცნებას“ ზეწოლაში ადანაშაულებს

დეპუტატ დავით დარჩიაშვილის განცხადებით, გამგებლის წარმომადგენლის მხრიდან პარტიის კოორდინატორებზე ზეწოლა ხორციელდება.

სოფელ აკთაკლიას გამგებლის წარმომადგენელი შამილოვი პარტიის წევრებს სთხოვდა, პროცესებს ჩამოშორებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სამართალდამცველ ორგანოებთან პრობლემების შექმნით ემუქრებოდნენ.

– მამაჩემს მთავრობისა და სუს-ის სახელით ადგილობრივ არჩევნებში ალიევის გამარჯვების შემდეგ დაპატიმრებით ემუქრებიან, თუმცა პირადადაც და ფეისბუქის საკუთარი გვერდის საშუალებით მათ განუცხადა, რომ ალაჰის გარდა არავისი ეშინია და ყოველთვის იდგება სახელმწიფოს ინტერესების გვერდით, – განაცხადა ჯოშკუნ ალიევმა.

ზეწოლაზე საუბრობს ნაციონალური მოძრაობის კიდევ ერთი წევრი.

– გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ახთაკლიას გამგებლის წარმომადგენელი შამილოვი რამდენჯერმე დამემუქრა, რომ არჩევნების შემდეგ სუს-ი აუცილებლად დამაპატიმრებდა. მე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი“ ვარ და ვიქნები ბოლომდე, – განაცხადა შახმადოვ გულიევმა.

**ნიუპოსტი**

## სტიქიის გამო სამეგრელოს 1.495.000 ლარის ოდენობის ზარალი მიადგა

დასავლეთ საქართველოში დიდთოვლობის გამო მიყენებული ზარალის დათვლა დასრულდა. ყველაზე მეტად ზიანი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს მიადგა. სტიქიით მიყენებულმა ზარალმა იქ 1.495.000 ათასი ლარს მიაღწია.

დიდი ზარალი ნახა წალენჯიხის მუნიციპალიტეტმა. აქ ზარალის ოდენობამ 450 ათას ლარს გადააჭარბა.

– უხვმა ნალექმა დააზიანა ინფრასტრუქტურული ობიექტები, კერძოდ, საცხოვრებელი სახლები, საბავშვო ბაღები, ადმინისტრაციული შენობები. მონაცემები ინფრასტრუქტურის სამინისტროში გაიგზავნება და თანხების გამოყოფა, სავარაუდოდ, მომავალ კვირას მოხდება, – ამბობს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გულორდავა.

75.000 შეადგინა ზარალმა ჩხოროწყუს რაიონში.

– დიდთოვლობის შედეგად ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში დაზიანდა რამოდენიმე ათეული სახლი. ეს ძირითადად შეეხება კერძო სახლებს. მიზეზი არის მოძველებული სახურავი, – აღნიშნა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელმა დათო გოგუამ.

რაც შეეხება ზუგდიდს, აქ ზარალის ოდენობა 300.000 ლარია, ხოლო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში – 270.000 ლარი. 400.000 ლარამდეა ზარალი ხობის მუნიციპალიტეტში. **ნიუპოსტი**

## სომხეთში H1N1 ვირუსით ოთხი ადამიანი დაიღუპა

სომხეთში გრიპის ვირუსს უკვე მსხვერპლი მოჰყვა. H1N1 ვირუსით ოთხი ადამიანი დაიღუპა. სომხეთის ინფექციური დაავადებების ცენტრის ინფორმაციით, გარდაცვალება გრიპის გართულებამ და ექიმთან დაგვიანებულმა მიმართვიანობამ გამოიწვია. ამჟამად საავადმყოფოში ე.წ. ღორის გრიპის მძიმე ფორმებით დაავადებული 8 ადამიანი იმყოფება. ყველა პაციენტი ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა გადაყვანილი. „ღორის გრიპით“ დაინფიცირებული სულ 89 პაციენტია. ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, გაზრდილია გრიპითა და პნევმონიით დაავადებულთა რაოდენობაც. 8 იანვრის მონაცემებით, სომხეთის საავადმყოფოებში 568 ადამიანი მკურნალობს გრიპისა და მწვავე რესპირატორული დაავადებების დიაგნოზით.

**პირველი რადიო**

## დავით ნარმანია: „გლდანში არსებული სტადიონი არ დაინგრევა“



თბილისის მერი დავით ნარმანია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლევან კობიაშვილთან ერთად გლდანის I მ/რ-ში არსებული სარეკრეაციო-სპორტული სივრცის შენარჩუნებასთან დაკავშირებით ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. გლდანის I მ/რ-ში, №13 და №14 კორპუსების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე, სადაც ამ დროისათვის სპორტული მოედანი ფუნქციონირებს, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით კერძო მესაკუთრემ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს მიმართა, რაც ადგილობრივმა მოსახლეობამ გააპროტესტა.

დავით ნარმანიას განცხადებით, თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის ზონალური საბჭოს გადაწყვეტილებით, მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით და სარეკრეაციო-სპორტული სივრცის შენარჩუნების მიზნით, აღნიშნულ ტერიტორიაზე კერძო მესაკუთრის მოთხოვნაზე – მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით უარყოფითი რეკომენდაცია გაიცა.

**დავით ნარმანია:**

– დედაქალაქის მერიამ განიხილა საკითხი საბჭოზე და კომისიის ყველა წევრმა უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო. შესაბამისად, აქ არ აშენდება კორპუსი, არ გაიზრდება ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები. რაც შეეხება იმას, რომ ინვესტორი არ დაზარალდეს, მასთან მოლაპარაკებებს ვგეგმავთ, ვიმსჯელებთ ადგილმონაცვლეობის თაობაზე. ეს გახლავთ ტერიტორია, სადაც დაუშვებელია მაღალსართულიანი კორპუსის მშენებლობა, გარდა ამისა, მიმდებარედ არსად არის სათამაშო მოედანი. სწორედ, ამ ფაქტორების გათვალისწინებით მიიღო საბჭომ უარყოფითი გადაწყვეტილება და აქ არსებული სტადიონი არ დაინგრევა.

გლდანის I მ/რ-ში, №13 და №14 კორპუსების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად ქალაქთმშენებლობითი პარამეტრის მომატებაზე, კერძოდ, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდასთან დაკავშირებით მესაკუთრე პაატა ნუცუბიძემ თბილისის მერიას 2015 წლის 21 დეკემბერს მიმართა, რასთან დაკავშირებითაც, თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის ზონალურმა საბჭომ უარყოფითი პასუხი გასცა.

საბჭოს წევრთა რეკომენდაციების საფუძველზე დაუშვებელია სტადიონის ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება და სასურველია გამოიძებნოს სამართლებრივი საშუალება, რათა ტერიტორიას საზოგადოებრივ-სარეკრეაციო ზონის სტატუსი შეუნარჩუნდეს. ამასთან, ზონალური საბჭოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი, დღეის მდგომარეობით, წარმოადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით გარემოცულ, კეთილმოწყობილ, მოქმედ სტადიონს, ტერიტორიაზე არსებულ ერთადერთ სარეკრეაციო-სპორტულ სივრცეს, რომელიც ქმნის მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურას და მისი დემონტაჟი დაუშვებელია.

მოსახლეობასთან შეხვედრას გლდანის რაიონის გამგებელი ბესიკ ქარცივაძე, თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი ბაგრატიონი, საკრებულოს დეპუტატები და საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ესწრებოდნენ. **ნიუპოსტი**

## გუდაურში უბედურ შემთხვევას 12 წლის გოგონა ემსხვერპლა

გუდაურში უბედური შემთხვევის შედეგად 12 წლის გოგონა გარდაიცვალა. ტრაგედია პირველ სასრიალო სპორტულ ტრასაზე მოხდა, რა დროსაც, სავარაუდოდ, 18 წლის ბიჭმა თხილამურები ვერ დაიმორჩილა და ბავშვს დაეჯახა. აღნიშნულ ინფორმაციას „რუსთავი 2“ ავრცელებს. ტელეკომპანიის ცნობით, გოგონა ადგილზე გარდაიცვალა, ბიჭი კი დაშავდა და ამ დროისთვის მკურნალობას გუდაურის ამბულატორიულ საავადმყოფოში გადის.

მომხდარს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

**ინტერპრესნიუსი**

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# რატომ მიმდინარეობს საიდუმლოდ გაზპრომთან მოლაპარაკება?

**დიპლომატთა კლუბი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და გაზპრომს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებს განცხადებით გამოეხმაურა.**

— ცოტა ხნის წინ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის გაზპრომის წარმომადგენელ ელენა ბურმისტროვასთან ციურიხში 27 დეკემბერს გამართული შეხვედრის შესახებ. საქართველოს მოქალაქეებისთვის ნათელია, რომ ქვეყნის გაზმომარაგების თემა არ წარმოადგენს რიგით ეკონომიკურ ან კომერციულ საკითხს, არამედ უშუალოდ ეხება საქართველოს პოლიტიკურ სუვერენიტეტს, მით უმეტეს მაშინ, როცა ამ პროცესში გაზპრომის ჩართულობა იკვეთება, — ნათქვამია განცხადებაში.

დიპლომატთა კლუბი ფიქრობს, რომ ციურიხში გამართული შეხვედრის ფაქტი საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რადგან საქმე გვაქვს ამ ბოლო დროს საკმაოდ მოკლე პერიოდში ამ ტიპის უკვე მეოთხე შეხვედრასთან (სექტემბერი — ბრიუსელი, ოქტომბერი — მილანი, დეკემბრის დასაწყისი — ლუქსემბურგი).

— განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ ეს ბოლო შეხვედრა გასაიდუმლოებული გახლდათ და რომ არა ინფორმაციის გამოჟონვა, მთავრობა არც აპირებდა მის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას, — ნათქვამია განცხადებაში.

მისი ავტორები თვლიან, რომ ენერგეტიკის სამინისტროს არგუმენტები საქართველოს




ბუნებრივი აირით მომარაგების დივერსიფიკაციასთან დაკავშირებით კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან ქვეყნის ბუნებრივი აირის ბაზარზე სტრატეგიული მოკავშირე ქვეყნის ოკუპანტი ქვეყნით ჩანაცვლება კი არ განამტკიცებს, არამედ სერიოზულ დარტყმას აყენებს მის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას.

— კარგად არის ცნობილი, როგორ იყენებს რუსეთის ფედერაცია აირის მიწოდების ფაქტორს მიმღებ ქვეყანაზე პოლიტიკური ზეწოლის კუთხით. ცხადია, რომ გაზპრომი ცდილობს, ირანის ბუნებრივი ინტერესი — გაყიდოს თავისი გაზი — ჩასვას რუსეთის კავკასიის რეგიონზე გავლენის სისტემის გაღრმავების პროცესში, — აღნიშნულია განცხადებაში.

ეს ჩვენთვის სახიფათო პოზიციაა. საქართველოსა და აზერბაიჯანის სტრატეგიული პოლიტიკური ინტერესების დიდი თანხვედრა უზრუნველყოფს საქართველოს ენერგოუსაფრთხოების მაღალ ხარისხს ერთი მომწოდებლის პირობებშიც კი.

— ამავე მიზეზებით, საქართველო იღებს აზერბაიჯანულ ბუნებრივ აირს ხელსაყრელ ფა-



სებში, რომლებიც საგრძნობლად განსხვავდება გაზპრომის ტრადიციული ფასებისაგან. მით უმეტეს, რომ ასევე გაუგებარია მინისტრ კალაძის განცხადებები აზერბაიჯანში საქართველოსთვის ბუნებრივი აირის არასაკმარისი რაოდენობების შესახებ, რადგან კონკრეტული ფაქტები და აზერბაიჯანის პრეზიდენტის ცალსახა განცხადებები საპირისპიროზე მეტყველებს, — ნათქვამია განცხადებაში.

დიპლომატთა კლუბი მიიჩნევს, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო და ზოგადად, მთავრობა, ვალდებულია გასცეს ქვეყნის საზოგადოებას კონკრეტული და ამომწურავი პასუხები შემდეგ კითხვებზე:

რატომ იქნა დამალული ციურიხში გამართული შეხვედრის ფაქტი საქართველოს მოსახლეობისგან?

რამხელაა პროცენტული წილის ის უსაფრთხო მაქსიმუმი, რომელსაც საქართველოს მთავრობა მიიჩნევს დასაშვებად რუსული აირისთვის საქართველოს მთლიანი აირმომარაგების მოცულობაში?

როგორია ის ფასი, რომლითაც ქართული მხარე აპირებს რუსული აირის შესყიდვას და აღემატება თუ არა ის აზერბაიჯანული აირის ფასს?

მიმდინარეობს თუ არა საუბარი გაზპრომთან რუსული აირის საქართველოზე მიმდინარე ტრანზიტის პირობების გადასინჯვაზე, რომლებიც, დღეის მდგომარეობით, საკმაოდ ხელსაყრელია საქართველოსთვის?

განიხილავს თუ არა ქართული მხარე რუსეთ-სომხეთის დამაკავშირებელი გაზსადენის რუსეთზე გასხვისების ან ამ სადენის რუსეთიდან აირის შესყიდვის კომერციული სქემების საგარანტიო ქონების სახით ჩადებას?

— განსაკუთრებით დაუშვებლად მიგვაჩნია, ქვეყნისათვის ასეთ მნიშვნელოვან და გამოწვევებით სავსე პერიოდში ასეთ სტრატეგიულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებდნენ ის პირები, რომელთა პირადი ინტერესები ცალსახად იკვეთება ენერგეტიკის ბიზნესში. დაუშვებლად მიგვაჩნია, რომ ენერგეტიკის მინისტრის თანამდებობას იკავებდეს პირი სწორედ ასეთი მახასიათებლით, — ნათქვამია დიპლომატთა კლუბის განცხადებაში.

**ბიპიენი**

# „გლობალური შიმშილის ინდექსში“ საქართველო დაბალი მაჩვენებლის ქვეყნებს შორის მოხვდა




2015 წლის „გლობალური შიმშილის ინდექსში“ საქართველო დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებს შორის მოხვდა.

კვების პოლიტიკის საერთაშორისო კვლევის ინსტიტუტის მიერ წარდგენილი ინდექსის მონაცემებით, საქართველოში შიმშილის ინდექსის მაჩვენებელი 8,5 ქულას შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ წინა ინდექსთან შედარებით, საქართველოს მაჩვენებელი 1,7 პუნქტით გაუმჯობესდა. 2005 წლის ინდექსის თანახმად, საქართველოში შიმშილის ინდექსის მაჩვენებელი 10,2 პუნქტით განისაზღვრა.

ინდექსში ასახული მონაცემები ეყრდნობა იმ ადამიანების მაჩვენებელს, რომელთაც მოხმარებულ საკვებში კალორიების დეფიციტი აქვთ, 5 წლამდე ასაკის ბავშვების მონაცემებს, რომელთაც წონაც არ შეესაბამება ნორმას და 5 წლამდე ბავშვთა შორის სიკვდილიანობის მაჩვენებელს.

რაც შეეხება ჩვენს მეზობელ ქვეყნებს, ინდექსში საქართველოზე ცუდი მაჩვენებელი აქვთ სომხეთს — 11,2 ქულა, აზერბაიჯანს — 10. უკეთესი მაჩვენებელი აქვთ რუსეთსა და უკრაინას, შესაბამისად 6,6 და 5 ქულა.

ექსტრემალურად საგანგაშო მაჩვენებელი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში დაფიქსირდა — 46,9, ხოლო ყველაზე დაბალი არგენტინაში — 5.

# პაატა დავითაია: „გაზპრომთან კონტრაქტი მთავრობის რუსული თამაშია“

რუსულ გაზპრომთან საქართველოს მთავრობის მოლაპარაკებებს ეხმაურება არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი. „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია „ნიუპოსტთან“ აცხადებს, რომ დღეს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ საქართველო რუსული პოლიტიკური წნეხის ქვეშ მოექცეს. დავითაია ფიქრობს, რომ გაზპრომთან მოლაპარაკებები იყო მთავრობაში განხორციელებული ცვლილების ერთ-ერთი მიზეზი.

— როგორც ცნობილია, რუსულ გაზპრომთან მზადდება კონტრაქტი და ამას ახმაურებენ თავად გაზპრომის წარმომადგენლები. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რატომ გახდა აუცილებელი საქართველოს მთავრობაში ცვლილებების განხორციელება, საუბარია პრემიერ-მინისტრის ცვლილებაზე. თქვენ გახსოვთ, როცა გახმაურდა გაზპრომთან დაკავშირებული პირველი ცვლილებები, ღარიბაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ ეს ასე არ იქნებოდა, იქვე გახსოვთ ვიცეპრემიერის, ენერგეტიკის მინისტრ კალაძის განცხადება, რომელმაც აღნიშნა, რომ დასრულდა მოლაპარაკება. რეალურად მაშინდელმა პრემიერმა ეს უარყო, — აცხადებს ევროპელი დემოკრატების ლიდერი.

დავითაია ამბობს, რომ პრემიერ-მინისტრი გაგდებულია მთავრობიდან — სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით...

— მოყვანილია ისეთი პრემიერი, რომელიც ხმის ამომღებიც არ არის და ამ ფონზე ჩვენ ვიგებთ ინფორმაციას გაზპრომიდან, რომ მზადდება სერიოზული კონტრაქტი, — აცხადებს პაატა დავითაია.

მისივე თქმით, ყველაფერი კეთდე-



ბა იმისათვის, რომ საქართველო მჭიდრო კავშირში იყოს რუსეთთან.

— ეს ყველაფერი ცხადყოფს იმას, რომ ივანიშვილი სწორედ ამ დავალებითაა მოყვანილი რუსეთის მხრიდან. — მიიჩნევს დავითაია. მისი თქმით, პოლიტიკური სპექტრი და არასამთავრობო სექტორი წინ უნდა აღუდგეს საქართველოს რუსულ სივრცეში დაბრუნებას.

— ამ კონტრაქტების ფონზე ჩვენ ვხედავთ, რომ მომავალი ნაბიჯი შეიძლება იყოს აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა. ახლა გამოვლინდა სწორედ ის თუ რატომ არის გაგდებული ღარიბაშვილი მთავრობიდან. ჩვენ ყველა ერთად — პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო სექტორი წინ უნდა აღვუდგეთ ამ პროცესებს. მაშინ, როცა მთელი მსოფლიო წყვეტს კავშირებს გაზპრომთან, ამ დროს საქართველო აპირებს მჭიდრო ურთიერთობას. ჩვენ საქმის კურსში უნდა ჩავაყენოთ ჩვენი პარტნიორები და მე პირადად, ყველაფერს გავაკეთებ ამისათვის, რომ დაველაპარაკო დიპლომატებს იმის შესახებ, რომ საქართველოს მთავრობა აკეთებს ყველაფერს რუსეთისკენ გეზის ასაღებად. — აცხადებს „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი.

რამდენად შესაძლებელია ურთიერთობების გაფუჭება აზერბაიჯანთან მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ ეს გარიგება არის პოლიტიკური ხასიათის, დავითაია აცხადებს, რომ აზერბაიჯანის განცხადება განპირობებულია იმით, რომ ის გაზის ბაზარზე ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა. მისი თქმით, საქართველოს ასეთი ნაბიჯი არათუ გააფუჭებს, არამედ ძალიან დაძაბავს აზერბაიჯანთან ურთიერთობას.

— ალიევმა მიანიშნა, რომ ეს არის პოლიტიკური ნაბიჯი, რათა საქართველო რუსეთის პოლიტიკურ წნეხში მოექცეს. დააკვირდით, რა ხდება? რუსეთის აგენტურული ქსელი გააქტიურებულია და ამ დროს სუს-ი არანაირ მუშაობას არ აწარმოებს ამ მიმართულებით და ის გადაიქცა სუფთა წყლის პოლიტიკურ პოლიციად. გაზპრომის წარმომადგენლები უკვე ღიად ასაჯაროებენ ინფორმაციას. რეალურად ეს არის სუფთა რუსული თამაში და, როგორც აღვნიშნე, მომდევნო ნაბიჯი იქნება რკინიგზა, — აცხადებს დავითაია და დასძენს, რომ ქართველმა საზოგადოებამ დასკვნა უნდა გააკეთოს — 2016 წელს ეს ხელისუფლება მოსაშორებელია და ეს მთავრობა გასაყრელია კაბინეტებიდან, — აცხადებს დავითაია.

**ნიუპოსტი**

# ბათუმში სასტუმრო ქრაუნ პლაზა გაიხსნება

მიმდინარე წლის ბოლომდე ბათუმში პრემიუმ კლასის სასტუმრო ქრაუნ პლაზა გაიხსნება.

გოგებაშვილის ქუჩაზე მდებარე შენობიანად პროექტის მთლიანი საინვესტიციო ღირებულება 20 მილიონ დოლარს გადააჭარბებს.

ქრაუნ პლაზას ადგილზე ჰოლიდეი ინის გახსნა იგეგმებოდა, რომელიც 2015 წლის მაისში უნდა დასრულებულიყო. თუმცა კომპანია აჭარა ჯგუფმა, ჩატარებული კვლევის შედეგად, უფრო მაღალი კლასის სასტუმროს გახსნა გადაწყვიტა.

აჭარა ჯგუფის ხელმძღვანელი ამბობს, რომ ჰოლიდეი ინს ბათუმში პოზიციონერობა გაუჭირდებოდა ისეთი სასტუმროების გვერდით, როგორებიცაა რედისონი, შერატონი, ჰილტონი. ამიტომაც, მისი თქმით, ბაზარი უფრო კონკურენტული რომ ყოფილიყო, არჩევანი შედარებით მაღალი კლასის სასტუმროზე გაკეთდა და ბრენდი შეიცვალა.




**კომერსანტ.გე**

# ბაჩუკი ქარდავა: „გაზპრომს ყველა წინ უნდა აღვუდგეთ“

გაზპრომთან საქართველოს მთავრობის მოლაპარაკებებს ეხმაურება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა.

**ბაჩუკი ქარდავა:**

— რუსული გაზი, რუსული რკინიგზა, რუსული პროპაგანდა — ეს არის ის მაქსიმუმი, რაც შეიძლება დღესდღეობით დაუთმოს დამპყრობელს მისივე მარიონეტმა ხელისუფლებამ. ბელორუსის ხელისუფლება იყო ლიდერი და შემდეგ, ალბათ, სომხეთის ხელისუფლება გამოირჩეოდა, სხვათა შორის, მათივე ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთთან ლოიალური დამოკიდებულებით. ერთსაც და მეორესაც გადაასწრო ჩვენმა ხელისუფლებამ. თან უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ შემთხვევაში ლოიალობასთან კი არ გვაქვს საქმე, საკუთარი მიზნების მისაღწევად, არამედ საკუთარი ქვეყნის საზიანოდ, უპირატესად დამპყრობელი რუსეთის ინტერესების სამსახურთან.

იმედი, რომ მთლად არ ჩაბარდებოდნენ ოკუპანტს, ჩაბარდა წარსულს. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ძალიან მალე განხორციელდება და მერე გინდა საბჭოთა კავშირში ვიყოთ და გინდა — ევრაზიულ კავშირში.

ახლა საკითხი შეიძლება დასვათ მხოლოდ ასე — „მოქმედების დროა“.

1. პრეზიდენტი — ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი უნდა გააქტიურდეს და არა ბალანსის მიმართულებით (აქამდე ეს სწორი იყო, რომ არა მთავრობის უგუნურობა), არამედ ეროვნული ინტერესების დასაცავად მარიონეტებთან დაპირისპირების მიმართულებით. ეს მას კონსტიტუციით ევალება. სწორედ პრეზიდენტი აგებს პასუხს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე.

2. ხალხი და სახელმწიფოებრივად



განწყობილი პოლიტიკური თუ სამოქალაქო ჯგუფები მარიონეტებისთვის უნდა იქცეს გადაულახავ ბარიერად, თვით ქუჩის ჩათვლით.

მხოლოდ რადიკალური მოქმედებები პროპუტინური პოლიტიკის წინააღმდეგ გადაარჩენს საქართველოს კიდევ ერთი 1921 წლისგან.

**ნიუპოსტი**

# „ერდოღანის შეკითხვა პუტინისადმი ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს“

## ჯემალ გამახარია: „დღეს რუსეთს თურქეთთან კარგი ურთიერთობა არ სჭირდება“

გულიკო ბალაძე





– რატომ გააგზავნეთ საკუთარი ძალები საქართველოში? იმიტომ, რომ მიგიწვიეს? – ამ კითხვებით თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა ვლადიმერ პუტინს მიმართა.

– რუსეთი აცხადებს, რომ მისი სამხედროები სირიაში სირიის მთავრობის მიწვევით არიან, თუმცა სირიის მთავრობა არ არის ლეგიტიმური. მაშინ რატომ გააგზავნეთ რუსეთმა საკუთარი ძალები საქართველოში? იმიტომ, რომ მიგიწვიეს? იმიტომ გააგზავნეთ უკრაინაში ჯარები, რომ მიგიწვიეს? – ასეთი განცხადება ერდოღანმა სირიაში რუსი სამხედროების მოქმედებებზე საუბრისას გააკეთა.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ჯემალ გამახარიას** განცხადებით, თურქეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, რუსეთი კი ხელოვნურად რთავს რუსულ-თურქულ დაპირისპირებაში საქართველოს თემას პროვოკაციის მიზნით.

***– ბატონო ჯემალ, ერდოღანის ამ განცხადებიდან რა იკვეთება?***

– ძალიან ბევრი საკითხი იკვეთება. ეს არის გამოვლინება იმ დიდი დაპირისპირებისა, რომელიც გამომჟღავნდა მას შემდეგ, რაც თურქეთმა რუსეთის თვითმფრინავი ჩამოაგდო. აქ ყურადღებას იპყრობს რუსეთის რეაქცია ამ ფაქტზე. რუსეთი ზესახელმწიფოა და მისი თვითმფრინავის ჩამოგდება მას არ გაუხარდებოდა და გარკვეული რეაქცია უნდა ჰქონოდა, მაგრამ რეაგირება აშკარად არაპროპორციულია. შთაბეჭდილება იქმნება, რომ რუსეთი საბაბს ეძებდა.

***– ამჟამად ღია დაპირისპირება საქართველოსა და ამ ორ ქვეყანას შორის არ არსებობს, მაგრამ ორივე მხარე ურთიერთბრალდებებისთვის იყენებს იმ ფაქტს, რომ ორივე სახელმწიფოს ჩვენი ტერიტორიები აქვს მიტაცებული და როცა დასჭირდებათ, ერთმანეთს აძახებენ. ჩვენთვის ეს რას ნიშნავს?***

– ჩანს, რუსეთი ელოდა მისთვის ამ ბედნიერ შემთხვევას, რომ გაერთულებინა ურთიერთობა თურქეთთან და დაპირისპირება მომხდარიყო.

***– რაში აწყობდა რუსეთს თურქეთთან ურთიერთობის გამწვავება?***

– რუსეთი დიდი ხანია გაღიზიანებულია თურქეთის აქტიურობით აფხაზეთსა და ყირიმში. რუსეთის მიერ ყირიმის მიერთებას თურქეთი მხარს არ უჭერს, ყირიმელ თათრებს იცავს, რომლებიც რუსეთთან მიერთების ასევე წინააღმდეგი არიან.

თურქეთი აქტიურობს ჩრდილოეთ კავკასიასა და ყაზანში, რუსეთს კი აღიზიანებს თურქეთის აქტიურობა ამ რეგიონებში.

***– ანუ თურქეთი იჭრება რუსეთის კონტროლირებად ტერიტორიულ სივრცეებში?***

– რუსეთს ასე მიაჩნია. გარდა ამისა, რუსეთში ეკონომიკური ვითარება რთულდება. არავინ იცის, რა იქნება 2016 წელს. ამიტომ რუსეთს ძალიან სჭირდება სერიოზული მტერი. უკრაინასა და საქართველოს რუსეთის საზოგადოების მხოლოდ ნაწილი აღიქვამს მტრად. ამიტომ საჭირო იყო ძალიან დიდი მტერი, რომ ერი და ბერი შეკრას პუტინის გარშემო ანუ რუსეთს თურქეთთან დაპირისპირება შიდაპოლიტიკურ ვითარებაზე ზემოქმედების მოსახდენად სჭირდება.

ამ სიტუაციაში ქართული თემის შემოგდებაც ბუნებრივია. რუსეთს ჩვენი სახით მოკავშირის პოვნა სურს. საქართველოს ტერიტორიების დიდი ნაწილი ბრესტის ზავით სწორედ რუსეთმა აჩუქა თურქეთს. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ეს ტერიტორიები თურქეთის ნაწილად ითვლება. საბჭოთა კავშირმაც აღიარა თურქეთის ტერიტორიებად.

***– საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს არ უღიარებია.***

– კი მაგრამ, საბჭოთა საქართველომ და საბჭოთა სომხეთმა სტალინის გარდაცვალების შემდეგ გააკეთეს განცხადება, რომ ისინი ხსნიან ტერიტორიულ პრეტენზიებს თურქეთის მიმართ. დამოუკიდებელ საქართველოს ამასთან დაკავშირებით განცხადება არ გაუკეთებია, მაგრამ...

***– მაგრამ არც პრეტენზიას გამოთქვამს ამ ეტაპზე.***

– დიახ. ჩვენ თურქეთთან გვაქვს მეგობრული ურთიერთობა. ჩვენი ერთადერთი თხოვნაა, თურქეთში ქართველ მოსახლეობას მშობლიურ ენაზე განათლების მიღების საშუალება ჰქონდეს. სხვაა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონი, რომლებსაც რუსეთის ტერიტორიებად არავინ აღიარებს და იქიდან მოსახლეობა გამოდევნილია.

რუსეთის მხრიდან ამგვარ განცხადებებს პროვოკაციული ხასიათი აქვს, რასაც საქართველო არ წამოეგება და არ დაუპირისპირდება თავის სტრატეგიულ მოკავშირე თურქეთს.

ბოლო დროს რუსეთის პრესაში გააქტიურებული და გაზვიადებულია აჭარის თემაც – თურქები იპყრობენ და ვუშველოთო. თითქოს რუსები გვშველიან ახლა აჭარის გამოხსნაში.

***– თითქოს პუტინმა წარმოთქვა ფრაზა, საქართველომ და რუსეთმა ჩავჭიდოთ ხელი და ერთად ვიმოქმედოთო. სანამ დეოკუპაცია არ მოხდება, რუსეთისთვის ხელის ჩაჭიდება ვერ წარმომიდგენია.***

– რა თქმა უნდა. სანამ რუსეთი არ წავა საქართველოდან და ოკუპირებულ ტერიტორიებს არ დააბრუნებს, რუსეთთან რაიმე სერიოზულ ურთიერთობაზე საუბარი ზედმეტია. ასეთია ხელისუფლებისა და საზოგადოების პოზიცია. რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაში საქართველოს თემა ხელოვნურადაა ჩაკვეხებული პროვოკაციული მიზნით.

***– ტრადიციულად, რუსეთი და თურქეთი ხან თანამშრომლობდნენ, ხანაც უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. მათ შორის დაპირისპირება საქართველოსთან დაკავშირებითაც ხომ იყო?***

– რა თქმა უნდა. რუსეთსა და თურქეთს შორის დაპირისპირება საქართველოსთან დაკავშირებითაც ხდებოდა და ბალკანეთის ქვეყნების, ყირიმის გამოც, რაც საუკუნეებს მოიცავდა.

1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როცა აჭარა დაბრუნდა მაშინდელი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, თურქებმა ერთ პერიოდში სოხუმის დაკავებაც შეძლეს მათ მხარეზე გადასული აფხაზების დახმარებით. არც ისე დიდი ხნის წინ დასრულდა ეს დაპირისპირება, რომელიც საქართველოსაც ეხებოდა.

***– ამდენად, საქართველოს მიმართ რუსეთიც სცოდავს და თურქეთიც სცოდავდა, რის შედეგებიც დღემდე არ აღმოფხვრილა.***

– ცხადია. საქართველო ორივეს თავისთვის უნდოდა. არცერთი არ იბრძოდა დამოუკიდებელი საქართველოსთვის.

***– დღეს რუსეთს თურქეთი აღიზიანებს, როგორც ნატოს წევრი და ევროპული მისწრაფების სახელმწიფო.***

– გასაგებია, მაგრამ ბოლო წლებში რუსეთს თურქეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ნატოს წევრი იყო და დიდი ხანია ევროპისკენ მიისწრაფვის. დღეს, როგორც ჩანს, რუსეთს თურქეთთან კარგი ურთიერთობა არ სჭირდება. ის ხელოვნურად ამწვავებს ურთიერთობას თურქეთთან. რუსეთს ძალიან ეშინია თურქეთის, ეშინია, რომ თურქეთი უფრო მეტ გავლენას მოიპოვებს აფხაზეთში, ყირიმში, ჩრდილოეთ კავკასიაში, თათრეთში (ყაზანში), ვოლგისპირეთში და ა.შ.

***– ერდოღანის მიმართვა პუტინისადმი და ჟირინოვსკის განცხადება რა შედეგის მომტანი იქნება ჩვენთვის?***

– რაც უფრო ბევრი ისეთი ლიდერი, როგორიც ბატონი ერდოღანია, შეახსენებს პუტინს, რომ ის არავის მიუწვევია საქართველოში, რომ მას ოკუპირებული აქვს ეს ტერიტორიები, ბუნებრივია, ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს. ცხადია, პუტინი საქართველოში არავის მოუწვევია.

# დევნილთა ნაწილი ოლიმპიურ სოფელში გამოყოფილ ფართებში ცხოვრებაზე უარს ამბობს

დევნილები, რომლებიც თბილისის ზღვაზე, ოლიმპიურ სოფელში 23-ე კორპუსში უნდა შესახლებულიყვნენ, მიღებული ფართებით უკმაყოფილონი არიან. მათ დევნილთა პარტიასთან ერთად ოლიმპიურ სოფელში აქცია გამართეს და დევნილთა სამინისტრო იძულებით გადაადგილებულ პირთა ნაწილის დისკრიმინაციაში დაადანაშაულეს.

როგორც მედიანიუსს დევნილთა პარტიის თავმჯდომარე ლელა გულედანმა განუცხადა, იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებსაც ახალ წელს 23-ე კორპუსში ბინები გადასცეს, მიღებულ ფართებს სამინისტროს უბრუნებენ, რადგან ამ კორპუსში მრავალსულიანი ოჯახების საცხოვრებლად საკმარისი ფართები არ არის.

– ოლიმპიურ სოფელში დევნილებისთვის 8 კორპუსია გამოყოფილი. 23-ე კორპუსი მრავალსულიან ოჯახებზეა გათვლილი და 3-4 ოთახიანი ბინებისგან შედგება, მაგრამ სინამდვილეში აქაც იგივე ფართია, რაც სხვა კორპუსებში, რომლებშიც ოროთახიანი ბინებია. უბრალოდ პროექტია შეცვლილი, გადატიხრულია ისე, რომ ოთახების რაოდენობაა გაზრდილი. დღეს დავათვალიერე ეს ფართები და ძალიან პატარა ოთახებია, პრაქტიკულად, საძინებლებში საწოლის ადგილიც არ არის. ამ ოჯახებზე 100 კვ მ ფართი იყო გათვალისწინებული, მაგრამ ოჯახებმა 60 კვ მ ფართი მიიღეს. ამიტომ კორპუსი ცარიელია, ოჯახები იქ შესვლაზე უარს ამბობენ და ფართებს უკან აბარებენ. პრობლემაა გათბობის მხრივაც, კორპუსში გაზი არ არის, ელექტროღუმელებით თბებიან, მაგრამ ესეც ხშირად ეთიშებათ, რადგან სადენები დატვირთვას ვერ უძლებს. დევნილების მოთხოვნაა, ალტერნატიული ფართები დადგენილი წესით მიიღონ, ან ოჯახის წევრების რაოდენობა მაინც გაყონ, ვთქვათ შვიდსულიანი ოჯახიდან 3 ამ ფართში შეუშვან და დანარჩენ ოთხს ალტერნატიული ფართი გამოუყონ, – განაცხადა ლელა გულედანმა და აღნიშნა, რომ დევნილთა სამინისტრო ალტერნატიული ფართების გაცემას არ აპირებს.



„სამინისტრო ჯერჯერობით შანტაჟის ენით გვესაუბრება, რომ თუ არ დასჯერდებიან ამ ფართს, სხვას ვერ მიიღებენ. ოჯახები ხელახლა უნდა ჩადგნენ რიგში, მაგრამ ზოგიერთ ოჯახს ღამის გასათევიც არ აქვს“, – აღნიშნა ლელა გულედანმა.

**მედიანიუსი**

# ნაცმოძრაობა შიდა ქართლის კიდევ ერთმა ყოფილმა გუბერნატორმა დატოვა

ნაციონალური მოძრაობა შიდა ქართლის კიდევ ერთმა ყოფილმა გუბერნატორმა დატოვა. ინფორმაციას ამის შესახებ ზურაბ ჩხეიძე სოციალურ ქსელში თავად საუბრობს:



– ნაციონალური მოძრაობის წევრი 2014 წლის თებერვალში გავხდი და ეს ნაბიჯი შეგნებულად გადავდგი სწორედ მაშინ, როდესაც აღარ ვიყავი საჯარო მოხელე და სრულიად თავისუფალი ვიყავი შესაბამისი პასუხისმგებლობებისგან. სწორედ მაშინ გავხდი წევრი, როდესაც ადამიანების გარკვეული ნაწილის არ ჰქონდა სურვილი, ასოცირებული ყოფილიყო ნაციონალურ მოძრაობასთან, თუმცა ეს ნაბიჯი შეგნებულად გადავდგი და, ვფიქრობ, სრულიად მართალი ვიყავი. მას შემდეგ 2 წელი გავიდა და ამჯერადაც ვთვლი, რომ ჩემი საქმიანობა სხვა მიმართულებით უნდა გავაგრძელო, ყოველგვარი პარტიული ვალდებულებების გარეშე, ამიტომ დღეს ვტოვებ ნაციონალურ მოძრაობას და, შესაბამისად, პოლიტსაბჭოს.

რას ვაპირებ? იმას, რასაც ვაკეთებდი საჯარო სამსახურამდე 12 წლის განმავლობაში – საზოგადოებრივ ორგანიზაციაში საქმიანობის გაგრძელებას. რა თქმა უნდა, მე ვრჩები ევროპული ღირებულებების ერთგულად და ჩემი ძალისხმევა, საქმიანობა სწორედ მისკენ იქნება მიმართული.

წარმატებებს ვუსურვებ ჩვენი ქვეყნის იმ პატრიოტ ადამიანებს, რომლებთანაც მქონია პარტიისა თუ საჯარო სამსახურის დროს თანამშრომლობა.

1. ამ საკითხზე ეს არის ჩემი ერთადერთი განცხადება და არ ვაპირებ იმავე თემაზე საუბარს.

2. ზოგიერთნი, ვინც კარგად არ მიცნობთ, ალბათ, იკითხავთ, სხვა პარტიაში ხომ არ გადავდივარ, აქვე გპასუხობთ, რომ არა, – წერს ზურაბ ჩხეიძე ფეისბუკზე.

ზურაბ ჩხეიძე, რომელიც გუბერნატორად 2013 წლის აპრილში დაინიშნა, ამ პოსტს რამდენიმე თვე იკავებდა და თანამდებობა პრეზიდენტის ინაუგურაციამდე ერთი დღით ადრე, 16 ნოემბერს დატოვა.

2015 წლის ბოლოს „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვების შესახებ განცხადება გააკეთა ჩხეიძის წინამორბედმა გუბერნატორის პოსტზე ანდრო ბარნოვმაც.

**ნიუპოსტი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

## ტერორისტმა დედა მოკლა

8 იანვარს ქალაქ რაქაში, რომელიც ტერორისტებმა თავიანთ დედაქალაქად გამოაცხადეს, 20 წლის მებრძოლმა მშობელი დედა მოკლა.



– ის მარწმუნებდა, რომ ისლამური სახელმწიფოსთვის მეღალატა და ამერიკელთა მხარეს გადავსულიყავი, – განუცხადა მან ბიბისის ჟურნალისტს.

მებრძოლი გულწრფელად აცხადებდა, რომ მას დედა ღალატისკენ უბიძგებდა. ეს უმძიმესი ცოდვაა, რის გამოც მას ჯოჯოხეთი ელოდა. მეც ის მოვკალი, რათა მისი სული გადამერჩინაო.

– ახლა დედაჩემი სამოთხეში მოხვდება, მე კი მის ნაცვლად წავალ ჯოჯოხეთში, – განაცხადა მან.

ტერორისტების რიგებში მოხალისეთა ნაკადი არ იკლებს. ამერიკის დაზვერვის ინფორმაციით, 2015 წლის დეკემბერში მოხალისეთა რაოდენობამ 34.000-ს მიაღწია. აქედან დასავლეთი ევროპის მცხოვრებლები 6.000-ს შეადგენენ, აშშ-დან სირიაში ჩასული მოხალისეთა რაოდენობა კი 250-ს არ აღემატება. 2015 წლის გაზაფხულზე მოხალისეთა რაოდენობა 30.000 იყო.

## მუსლიმანი ქალი ტრამპის წინასაარჩევნო მიტინგიდან გააძევეს

პრეზიდენტობის კანდიდატ დონალდ ტრამპის წინასაარჩევნო მიტინგზე ხნიერი მუსლიმანი ქალი ჰამიდა როუზი მივიდა.

მას ჰიჯაბი ეცვა, ხელში კი პლაკატი ეჭირა: „მისტერ ტრამპის ანტიმუსლიმანური რიტორიკის გამო პროტესტს ვაცხადებ!“

ამან ტრამპი აღაშფოთა.

– გაეთრიე აქედან! – დაიღრიალა მან.

ქალი ადგილიდან არ დაიძრა. მაშინ ტრამპმა პოლიციას უხმო და მოსთხოვა, ქალი იქაურობისთვის მოეცილებინათ.

აშშ-ის ტელეარხებმა აჩვენეს კადრები, თუ როგორ გაჰყავდათ პოლიციელებს მოხუცი მუსლიმანი ქალი.

ტრამპის რეიტინგი ეცემა, თუმ-



ცა რესპუბლიკელებს შორის ის ჯერჯერობით კვლავაც ლიდერობს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან
მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

## არეულობა კიოლნში



კიოლნში გაიმართა მასობრივი გამოსვლები 1 იანვარს მომხდარი ძალადობის წინააღმდეგ, როდესაც ქალებზე მასობრივი თავდასხმა და გაუპატიურება განხორციელდა.

ქუჩაში დემოკრატებიც გამოვიდნენ და ულტრამემარჯვენეებიც. ორივენი ლტოლვილების დეპორტაციას მოითხოვდნენ.

მიუხედავად ამისა, მათ შორის დაპირისპირება დაიწყო.

– ნაცისტებო, აქედან წაეთრიეთ! – გაჰყვიროდნენ დემოკრატები.

ულტრამემარჯვენეები კი დემოკრატებს ცისფერებსა და იმპოტენტებს ეძახდნენ.

ბოლოს ეს ყველაფერი ხელჩართულ შეტაკებაში გადაიზარდა.

პოლიციამ წყლის ჭავლი გამოიყენა და მათი გაშველება მხოლოდ ასე შეძლო.

კიოლნის პოლიციის უფროსმა ალბერსმა სატელევიზიო გამოსვლაში აღიარა, რომ შეცდომები დაუშვა, თუმცა გადადგომაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

ამან ცეცხლზე ნავთი დაასხა. გამოსვლები ახალი ძალით წარიმართა.

გერმანიის შს მინისტრი იძულებული გახდა, კიოლნის პოლიციის უფროსი გადაეყენებინა. ის პენსიაზე ვადაზე ადრე გაუშვეს.

## ამერიკული ავიაციის დარტყმების შედეგად 17 ტერორისტი დაიღუპა



ავღანეთში გრძელდება შეტაკებები ავღანეთის სამთავრობო ჯარებსა და ისლამური სახელმწიფოს ლიდერებს შორის.

ტერორისტებმა სამთავრობო ჯარების 8 მებრძოლი ტყვედ აიყვანეს, შემდეგ კი თავი მოჰკვეთეს.

პასუხად აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ტერორისტების პოზიციებზე დარტყმა განახორციელეს.

ლიკვიდირებულია 17 ტერორისტი.

## აფეთქება კიშინიოვში



მოლდავეთის დედაქალაქში ცენტრალური ბაზრის მახლობლად აფეთქება მოხდა. საზოგადოებრივი კვების დამხმარე საწარმოში გაზი აფეთქდა.

ამან ირგვლივ მყოფ მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია.

საბედნიეროდ, არავინ დაღუპულა. დაშავებულია 20 ადამიანი, მათ შორის ბავშვებიც.

## რუსეთი დონბასში საერთაშორისო ძალების წინააღმდეგია



რუსეთის წარმომადგენელმა გაეროში ჩურკინმა განაცხადა, რომ დონბასში გაეროს ცისფერჩაფხუტიანების ჩაყენების საჭიროება არ არსებობს.

ჩურკინმა ოფიციალურ კიევს ბრალად მინსკის შეთანხმებების იგნორირება დასდო და განაცხადა, რომ ცისფერჩაფხუტიანების ჩაყენების იდეა კიევს საკუთარი აგრესიული ზრახვების დასაფარავად სჭირდება.

– ამას სჯობია, დონეცკ-ლუგანსკის წარმომადგენლებთან საერთო ენა გამოძებნონ, – თქვა ჩურკინმა

„დონეცკის რესპუბლიკის“ ლიდერმა ზახარჩენკომ თქვა, რომ საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შეყვანას არ დაუშვებს.

– რუს მშვიდობისმაძიებლებს კი სიამოვნებით მივიღებთ, – აცხადებს სეპარატისტების ლიდერი.

## თურქეთი: შეტაკება სამხედროებსა და ქურთებს შორის



თურქეთში, სირიის საზღვართან, თურქეთის არმიასა და ქურთისტანის მუშათა პარტიის მებრძოლებს შორის შეტაკება მოხდა.

მუშათა პარტია, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია, თურქეთში აკრძალულია.

ბრძოლის შედეგად დაიღუპა 18 ქურთი მებრძოლი. თურქ ჯარისკაცებს შორის მსხვერპლი არ არის.

პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ ტერორისტების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა გაგრძელდება, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნებიან ეს ტერორისტები – ალ-ქაიდა, ქურთები თუ სხვები.

## მექსიკაში ციცქნა ნარკობარონი დააკავეს



მექსიკის პოლიციამ ნარკობარონი ჰოაკინ გუსმანი, მეტსახელად ელ ჩაპო (ციცქნა) დააკავა.

ის ციხიდან გასული წლის ივლისში გაიქცა. ელ ჩაპოს, როგორც განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დამნაშავეს, გულმოდგინედ დაეძებდნენ.

გუსმანმა ამჯერადაც მიმალვა ცადა, მაგრამ ამაოდ.

პოლიციელებმა გამაფრთხილებელი ცეცხლი გახსნეს. გუსმანმაც ხელები ასწია და ძალოვნებს დანებდა.

ის მკაცრი რეჟიმის საპყრობილეში მოათავსეს.

## ბელგოროდში ექიმმა პაციენტი მოკლა



ბელგოროდში ქირურგმა ზელეტდინოვმა პაციენტი ვახტინი მოკლა.

ექიმის ჩვენებით, მთვრალი ვახტინი მეგობრის თანხლებით საავადმყოფოში მივიდა და მუცლის არის გამოკვლევა მოითხოვა. ამ დროს მან მედდას წიხლი ამოარტყა. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ქალი ჩაიკეცა.

– ექთანი, რომელსაც იმ გარეწარმა წიხლი ამოარტყა, ჩემი ღვიძლი და იყო. მე მას გამოვექომაგე და ხულიგანს ერთიორი ვუთაქე. მოკვლა არ მინდოდა, – ამბობს ზელეტდინოვი.

ბელგოროდელები, თავის მხრივ, აცხადებენ, რომ ქირურგი ზელეტდინოვი პაციენტების ცემაში ადრეც იყო შემჩნეული.

– ის ყოფილი მოკრივეა, ძალა ერჩის, ჩხუბიც იცის, ჰოდა მუშტებს ხშირად ატრიალებდა, – ამბობენ ისინი.

მოკლული ვახტინის მეგობარი ამტკიცებს, რომ ექიმები მათ აგრესიულად დახვდნენ, სთხოვდნენ ფულს, უარის შემდეგ კი ზელეტდინოვი მის მეგობარს მუშტებით ეძგერა.

– ვახტინი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, წინააღმდეგობის გაწევის თავი არ ჰქონდა. ვცადე, დავხმარებოდი, მაგრამ ამაოდ, – აცხადებს მოკლულის მეგობარი.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

## ოდესაში სამხედრო ობიექტზე თავდასხმა ცადეს




ორი უცნობი პირი ოდესაში განთავსებულ უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების კუთვნილ ობიექტზე შეღწევას შეეცადა. ბადრაგმა ისინი დროზე შენიშნა.

გაფრთხილებაზე, „შესდექით, თორემ ცეცხლს გავხსნით“, უცნობებმა რეაგირება არ მოახდინეს. ჯარისკაციც იძულებული გახდა, რამდენიმეჯერ ჰაერში გაესროლა.

ამის შემდეგ თავდამსხმელები გაიქცნენ.

სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელობამ ჯარისკაცის მოქმედებას მაღალი შეფასება მისცა.

უკრაინის უშიშროების სამსახური თავდამსხმელთა ძებნას შეუდგა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

### კალეიდოსკოპი

## კვერნა სალასა და პელმენებს იპარავდა

კვერნამ, რომელიც კამჩატკაზე კრონოცის ნაკრძალში ბინადრობს, სახელმწიფო ინსპექტორებს, რომლებიც ტერიტორიის პატრულირებით არიან დაკავებულნი, პროდუქტები მოჰპარა. მისი ნანადირევი აღმოჩნდა, რამდენიმე თევზი, ნახევარი კილოგრამი ხორცი, ნაღების კარაქი, ძეხვის ნაჭერი, 600 გრამი სალა და პელმენების შეკვრა.



ცხოველმა სამორიგეო ოთახში შეაღწია, ტომარა, რომელშიც საკვები ინახებოდა, გაღრღნა და პროდუქტების ნაწილი წაცუნცულა.

– ღამით ხმაურმა გამაღვიძა, ავდექი, მეორე ოთახში გავედი და დავინახე, რომ კვერნა კარგი ჯამბაზივით დაძვრებოდა თოკზე, რომელშიც ტომარა იყო ჩამოკიდებული, იქიდან საკვებს აძრობდა და მიაცუნცულებდა. როდესაც მისი გაგდება ვცადე, მან აქეთ შემომიტია და კინაღამ ცხვირზე მიკბინა, – განაცხადა ინსპექტორმა გენადი ვოლინეცმა.

როგორც გაირკვა, ცხოველი სახლის ქვეშ დასახლდა და სწორედ იქიდან შეაღწია შიგნით. ახლა უკვე ნაკრძალის თანამშრომლები პროდუქტებს პლასტიკატის კასრში ინახავენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

### მკურნალობა

● დაქვეითებული სმენის – ნევრიტის,ოტიტის, ოსტეოქონდროზის, კიდურების, კუნთების, სახსრების დაავადებების, რადიკულიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, მასტიტის, საკვერცხეების ანთების, წითელი ქარის განკურნება უნიკალური ენერგეტიკული მეთოდით, ასაკის მიუხედავად. ეს ნამდვილია პრაქტიკულად გამოცდილი. მის.: ალმაშენებლის 93. ტელ: 599-97-85-46 ლევანი - სერტიაიცირებული სახალხო მკურნალი.

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ქუთაისმა დინამოს მოუგო და ბათუმი გაალიდერა

გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**სოხუმი – ბათუმი 73:74**
**(12:22; 22:20; 20:15; 10:17)**

მატჩი დაძაბული, საინტერესო და სწრაფი გამოდგა. შეხვედრის ბედი ბოლო წამზე ერთმა სროლამ გადაწყვიტა.

პირველი პერიოდი ბათუმელებმა 1 ქულით მოიგეს, ხოლო მეორე ათწუთეულში უპირატესობას უკვე სოხუმელები დაეპატრონნენ და წინაც გავიდნენ – 43:42. თუმცა ეს ლიდერობა პირობითი იყო, რადგან გუნდებში სხვაობა 1-2 ქულას შეადგენდა. შედარებით ხელჩასაჭიდ უპირატესობას სოხუმელებმა მიაღწიეს, როცა მესამე პერიოდის ბოლო წუთზე 8 ქულით – 63:55 დაწინაურდნენ.

სოხუმელთა რიგებში დებიუტი ჰქონდა გუნდის მე-3 ამერიკელს, ანდრე სმიტს, თუმცა გუნდს საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა ლევან ფაცაციამ ულიდერა, რომელმაც შეხვედრა 29 ქულით დაასრულა. სწორედ ფაცაციამ ჩააგდო სოხუმელთა ბოლო 2 ქულა საჯარიმოს ხაზიდან და სავარაუდოდ მატჩის გმირიც გახდებოდა, რომ არა ბათუმელების ბოლო წამზე ჩაგდებული გამარჯვების ბურთი.

72:73 ჩამორჩენილი ბათუმელები მატჩის დასრულებამდე 13 წამით ადრე ბოლო შეტევაზე გადავიდნენ. სირენამდე 5 წამით ადრე აკაკი დვალიშვილმა ორქულიანი აacილა, ბურთი მისმა თანაგუნდელმა ლეჟავამ მოხსნა და მანაც ააცილა, თუმცა ბურთს ფართან იმავე დვალიშვილი მისწვდა და კალათში ჩააბრუნა – 74:73 ბათუმის სასარგებლოდ.

გამარჯვებულებს 23 ქულით ლეონიდ სტეპანიშინმა ულიდერა, დვალიშვილმა ორმაგი დუბლი – 20 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა, ხოლო იგორ კრივცოვმა ბათუმელებს 14 ქულა შეაშველა.

**დინამო – ქუთაისი 68:79**
**(15:21; 18:25; 16:11; 19:22)**

კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა იმერულმა კლუბმა დინამოელთა წარმატებული სერია შეწყვიტა. ირაკლი ხოშტარიას გუნდს აქამდე ზედიზედ 6 თამაში ჰქონდა მოგებული და ბათუმთან ერთად ლიდერობდა კიდეც, თუმცა ქუთაისელებთან ვერაფერი გააწყო.

მატჩი ისე დაიწყო და დასრულდა, ვითარება არ დაძაბულა. პირველი პერიოდი სტუმრებმა 21:15 მოიგეს, ხოლო მეორე მეოთხედში უპირატესობა კიდევ უფრო გაიმყარეს და 13 ქულით გალიდერდნენ – 46:33.



დინამოელებს აკლდათ დანიელ უილიამსი, რომელიც გუნდის ხელმძღვანელობამ ა ლიგის კაკტუსში გაუშვა. ერთადერთი ლეგიონერი, ამერიკელი ოურბი მაკალპი ბევრს ეცადა და 21 ქულით ბომბარდირიც გახდა, მაგრამ დინამოელებს ვერაფერი უშველა.

ქუთაისის კალათბურთელებმა მატჩი გამარჯვებამდე აუღელვებლად მიიყვანეს და სუპერლიგის ცხრილში მეორე ადგილზე მყოფ დინამოს ქულებით გაუთანაბრდნენ, ხოლო ურთიერთშეხვედრებით სჯობნიან.

იმერულ კლუბს 19 ქულით გიორგი ბარბაქაძემ ულიდერა. მისმა ძმამ, გიორგიმ ქუთაისელებს 16 ქულა შესძინა. დინამოში, როგორც უკვე გითხარით, 21 ქულით საუკეთესო მაკალპინი იყო, ხოლო გიორგი შარაბიძემ 14 ქულა მიითვალა.

**აკადემია – მგზავრები 87:91**
**(22:20; 22:17; 18:27; 25:27)**

ბუბა ბერიშვილის მგზავრებმა ბოლო 3 მატჩი მოიგეს და ცხრილში ბოლო ადგილზე მყოფ აკადემიასთანაც, ცხადია, მხოლოდ გამარჯვებას გეგმავდნენ.

მგზავრებმა საბოლოოდ გამარჯვების მოპოვება შეძლეს – 91:87. მცირედით, თუმცა აკადემიელები მთელი პირველი ტაიმის მანძილზე იგებდნენ. დიდ შესვენებაზე გელა წულაძის „აკადემია“ 7 ქულით გალიდერდა, თუმცა მგზავრებმა მძლავრი მესამე პერიოდი ჩაატარეს, რომელიც 27:18 მოიგეს და გადამწყვეტ პერიოდს 2-ქულიანი უპირატესობით შეხვდნენ – 64:62.

ბოლო ათწუთეულში რეჯი მერფის აქტიურობით მგზავრებმა ბოლო წუთებზე ლიდერობა გაიმყარეს, თუმცა აკადემიელები, რომლებსაც ამერიკელი მორის ბრიქსი წინამძღოლობდა, შანსს ბოლომდე ინარჩუნებდნენ. აკადემიას იმედი ლევან გრძელიძის 2-მა ზუსტმა საჯარიმომ გადაუწურა, რომლის შემდეგ მგზავრები 4 ქულით დაწინაურდნენ და დარჩენილ 8 წამში დეფიციტის აღმოსაფხვრელად დრო აღარ ეყოთ.

მორის ბრიგსმა საბოლოოდ 44 ქულა დააგროვა, თუმცა არ დაუფასდა. გამარჯვებულებს კი რეჯინალდ მერფიმ ულიდერა, რომელმაც 27 ქულა და 13 მოხსნა მიითვალა. 18 ქულა მოაგროვა კახა ჯინჭარაძემ, ხოლო ავთანდილ ლომინაშვილის ანგარიშზე 17 ქულა დაგროვდა.

**რუსთავი – ოლიმპი 75:82**
**(12:28; 17:23; 25:13; 21:18)**

ოლიმპის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გია კაზანჯიანის წასვლის შემდეგ გუნდს უკრაინელი სპეციალისტი ლეონიდ ივატინი უხელმძღვანელებს. თუმცა, უკრაინელი ამ მატჩს მხოლოდ თვალს ადევნებდა, გუნდი კი სათამაშოდ ლევან ქარაბაკმა გაიყვანა.

ოლიმპის ხელმძღვანელობამ მწვრთნელს გუნდიდან 3 უცხოელი კალათბურთელიც მიაყოლა და სანამ შევსებას მიიღებდა, რუსთავს მოუგო, რომელმაც მთავარი მწვრთნელი მიხეილ ბერუაშვილი 1 ტურით ადრე გაუშვა.

სამაგიეროდ, ოლიმპში დებიუტი ჰქონდა უკრაინელ ალექსანდრ კოსენკოვს, თუმცა მისი წილი სხვებთან შედარებით მოკრძალებული გახლდათ. ოლიმპს ულიდერა ჯერემი ბაინამმა, რომელმაც შეხვედრა 34 ქულით დაასრულა და თავისი გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

ოლიმპმა პირველი ტაიმი 51:29 მოიგო და მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველებმა მეორე ნახევარში თამაში გამოაკეთეს და თამაშის გადარჩენის შანსიც ჰქონდათ, თამაში მაინც თბილისელთა გამარჯვებით დასრულდა. ბოლო პერიოდში ბაინამს რეზო როგავაც აჰყვა და ამ კალათბურთელების შედეგიანობით ოლიმპმა სეზონის მე-6 გამარჯვება მოიპოვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბათუმი | 14 | 10 | 4 | 1085:1028 | 24 |
| 2.ქუთაისი | 14 | 9 | 5 | 1073:1013 | 23 |
| 3.დინამო | 14 | 9 | 5 | 1001:948 | 23 |
| 4.მგზავრები | 14 | 8 | 6 | 1026:1059 | 22 |
| 5.სოხუმი | 14 | 7 | 7 | 1080:992 | 21 |
| 6.ოლიმპი | 14 | 6 | 8 | 1019:1030 | 20 |
| 7.რუსთავი | 14 | 5 | 9 | 1037:1077 | 19 |
| 8.აკადემია | 14 | 2 | 12 | 1007:1181 | 16 |

# ტორპედომ, დინამომ და საბურთალომ მზადება დაიწყეს

იწურება სადღესასწაულო დღეები და ქართულ ფეხბურთის გუნდებსაც ეწურებათ ზამთრის არდადეგები. რამდენიმე გუნდმა უკვე დაიწყო მზადება მე-2 წრისთვის.

ქუთაისის ტორპედო თავიანთ საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბნენ. გაიმართა გუნდის საერთო კრება, სადაც ტორპედოს მთავარმა მწვრთნელმა უახლოეს გეგმებზე, წვრთნის პროცესზე ისაუბრა.

როგორც ალექსანდრ შტელინმა აღნიშნა, ორი კვირის განმავლობაში გუნდი ქუთაისში ივარჯიშებს. მრავალმხრივ სამედიცინო შემოწმებასთან, ინტენსიურ ფიზიკურ მომზადებასთან ერთად ფეხბურთელები თეორიულ მეცადინეობას გაივლიან.

ამ პერიოდში რამდენიმე საკონტროლო მატჩი გაიმართება, მათ შორის პირველი 12 იანვარს, მარტვილში ადგილობრივ მერანთან, დანარჩენი მატჩები 17, 20 და 24 იანვარს არის დაგეგმილი.

**ალექსანდრ შტელინი:**

– ჩვენი მთავარი ამოცანა ახლა ის არის, რომ მაქსიმალურად მომზადებულნი შევხვდეთ ჩემპიონატის მე-2 წრეს, ისეთი გუნდი უნდა ჩამოვაყალიბოთ, რომელიც ყოველ თამაშში, ნებისმიერ მეტოქესთან მხოლოდ გასამარჯვებლად იბრძოლებს.

თბილისის დინამო ანდრო ჟორდანიას სახელობის საწვრთნელ ბაზაზე ზამთრის პაუზის შემდეგ პირველად შეიკრიბა. მანამდე გია გეგუჩაძის გუნდმა სამედიცინო შემოწმება გაიარა. წვრთნა გუნდმა სრული შემადგენლობით გამართა, ბრაზილიელი რენე ფერეირას გამოკლებით, რომელიც დინამოს ოდნავ მოგვიანებით შეუერთდება.

დედაქალაქური გუნდი გიორგი რეხვიაშვილმა დატოვა, რომელიც თერჯოლის საპოვნელაში ითამაშებს.



დინამო თვის ბოლომდე თბილისში მოემზადება, ხოლო 30 იანვრიდან სეზონისთვის სამზადისს თურქეთში გააგრძელებს.

საბურთალოს ფეხბურთელებმა, რომლებმაც სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყეს, ბენდელას სტადიონზე არსებულ სიტი სპორტის სამედიცინო დიაგნოსტიკურ სარეაბილიტაციო ცენტრში, სამედიცინო შემოწმება გაიარეს.

გიორგი ჭიაბრიშვილის შეგირდები დასკვნით შეკრებას თურქეთის ქალაქ სიდეში 27 იანვრიდან 10 თებერვლამდე გაივლიან, სადაც რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავენ.

ლაშა თოთაძე, რომელმაც გასული სეზონის პირველი წრე საბურთალოში გაატარა, მაისამდე კვლავ კლუბში რჩება. გეცოდინებათ, რომ თოთაძე დინამოს საკუთრებაა, თუმცა საბურთალოში იჯარის წესით თამაშობდა. მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გადაწყდა, რომ მცველი ისევ საბურთალოში დარჩება.

22 წლის ნახევარმცველმა რატი ცაცკრიალაშვილმა, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში ცხინვალში ასპარეზობდა, საბურთალოსთან 2 წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ახალგაზრდა ფეხბურთელი რამდენიმე დღეა, რაც დედაქალაქელთა შემადგენლობაში ვარჯიშობს.

# კოხი გერმანიას — 2006 წლის მუნდიალი სუფთად არ ჩანს

ბოლო დროს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყნებზე დიდი მითქმა-მოთქმაა და რუსეთსა და ყატარს მუნდიალის ჩატარების მოპოვებას კორუფციულს უწოდებენ. თუმცა, როგორც ჩანს, საქმე მარტო მომავალს



არ ეხება — გერმანიის საფეხბურთო კავშირის მოვალეობის დროებითმა შემსრულებელმა რაინერ კოხმა განაცხადა, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ჩატარების უფლების კანონიერი გზით მოპოვება შეუძლებელი იყო.

**რაინერ კოხი:**

— ჩვენ ბევრი გავაკეთეთ, რომ 2006 წელს მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში ჩატარებულიყო. თუმცა, მასპინძელი ქვეყნის არჩევა იმ პერიოდში მიმდინარეობდა, როდესაც ფიფა კეთილსინდისიერი ორგანიზაცია არ იყო და კანონიერი გზით მსოფლიოს პირველობის მასპინძლობის უფლების მოპოვება შეუძლებელი გახლდათ. გამოძიება აჩვენებს ჩვენი ქმედებები დაშვებულს თუ გასცდა, თუმცა ფიფას სკანდალმა ეს სიტუაცია უნდა შეცვალოს.

ამ ცნობას გაზეთი ბილდი ავრცელებს, რომელმაც ადრე გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ კონცერნ ადიდასის თავკაცი რობერ ლუი-დრეიფუსი სპეციალურად შექმნილ საიდუმლო ფონდს აფინანსებდა, რომელსაც ფიფას აღმასკომის წევრები უნდა მოესყიდა, რათა მათ გერმანიის კანდიდატურისთვის მხარი დაეჭირათ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# შედეგები

## 9 იანვარი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ასოციაციის თასი**

უიკომბი-ასტონ ვილა ........................ 1:1
არსენალი-სანდერლენდი .............. 3:1
ბირმინგემი-ბორნმუთი .................. 1:2
ბრენტფორდი-უოლსოლი ............. 0:1
ბერი-ბრედფორდი .......................... 0:0
კოლჩესტერი-ჩარლტონი .............. 2:1
დონკასტერი-სტოკი ........................ 1:2
ევერტონი-დაგენჰემი ...................... 2:0
ჰარტპული-დერბი ............................ 1:2
ჰადერსფილდი-რედინგი ................ 2:2
ჰალი-ბრაიტონი ................................ 1:0
იფსვიჩი-პორთსმუთი ..................... 2:2
ლიდსი-როტერჰემი .......................... 2:0
ნორდჰემპტონი-მილტონი ............. 2:2
ნორვიჩი-სიტი ................................... 0:3
ნოტინგემი-ქპრ ................................. 1:0
პიტერბრო-პრესტონი ..................... 2:0
უენსდი-ფულემი .............................. 2:1
საუთჰემპტონი-კრ.პალასი ............ 1:2
უოტფორდი-ნიუკასლი .................. 1:0
ვესტ ბრომვიჩი-ბრისტოლი ........... 2:2
ვესტ ჰემი-ვულვზი .......................... 1:0
მანჩესტერი-შეფილდი .................... 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბარსელონა-გრანადა ...................... 4:0
ხეტაფე-ბეტისი ................................ 1:0
სევილია-ბილბაო ............................ 2:0
რეალი-დეპორტივო ........................ 5:0
ლევანტე-რაიო ................................. 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 18 | 13 | 3 | 2 | 44-15 | 42 |
| 2.ატლეტიკო | 18 | 13 | 2 | 3 | 25-8 | 41 |
| 3.რეალი | 19 | 12 | 4 | 3 | 52-18 | 40 |
| 4.ვილიარეალი | 18 | 11 | 3 | 4 | 24-16 | 36 |
| 5.სელტა | 18 | 9 | 4 | 5 | 28-25 | 31 |
| 6.სევილია | 19 | 8 | 5 | 6 | 26-21 | 29 |
| 7.ბილბაო | 19 | 8 | 4 | 7 | 27-22 | 28 |
| 8.ეიბარი | 18 | 7 | 6 | 5 | 25-19 | 27 |
| 9.დეპორტივო | 19 | 6 | 9 | 4 | 26-23 | 27 |
| 10.ვალენსია | 18 | 5 | 8 | 5 | 23-17 | 23 |
| 11.მალაგა | 18 | 6 | 5 | 7 | 13-14 | 23 |
| 12.ხეტაფე | 19 | 6 | 5 | 8 | 21-27 | 23 |
| 13.ესპანიოლი | 18 | 6 | 3 | 9 | 16-28 | 21 |
| 14.ბეტისი | 19 | 5 | 5 | 9 | 13-28 | 20 |
| 15.სოსიედადი | 18 | 4 | 5 | 9 | 20-27 | 17 |
| 16.ლას პალმასი | 18 | 4 | 5 | 9 | 18-26 | 17 |
| 17.გრანადა | 19 | 4 | 5 | 10 | 20-36 | 17 |
| 18.ხიხონი | 17 | 4 | 3 | 10 | 16-27 | 15 |
| 19.რაიო | 18 | 4 | 3 | 11 | 20-41 | 15 |
| 20.ლევანტე | 18 | 2 | 5 | 11 | 12-31 | 11 |

**იტალია. სერია ა**

კარპი-უდინეზე ................................. 2:1
ფიორენტინა-ლაციო ...................... 1:3
რომა-მილანი ................................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 18 | 12 | 3 | 3 | 24-11 | 39 |
| 2.ნაპოლი | 18 | 11 | 5 | 2 | 33-14 | 38 |
| 3.ფიორენტინა | 19 | 12 | 2 | 5 | 37-19 | 38 |
| 4.იუვენტუსი | 18 | 11 | 3 | 4 | 31-14 | 36 |
| 5.რომა | 18 | 9 | 6 | 3 | 35-21 | 33 |
| 6.სასუოლო | 17 | 7 | 7 | 3 | 22-17 | 28 |
| 7.მილანი | 18 | 8 | 4 | 6 | 24-22 | 28 |
| 8.ემპოლი | 18 | 8 | 3 | 7 | 23-23 | 27 |
| 9.ლაციო | 19 | 8 | 3 | 8 | 23-27 | 27 |
| 10.ატალანტა | 18 | 7 | 3 | 8 | 20-21 | 24 |
| 11.უდინეზე | 19 | 7 | 3 | 9 | 18-27 | 24 |
| 12.კიევო | 18 | 6 | 5 | 7 | 24-21 | 23 |
| 13.სამპდორია | 18 | 6 | 5 | 7 | 27-28 | 23 |
| 14.ტორინო | 17 | 6 | 4 | 7 | 22-22 | 22 |
| 15.ბოლონია | 18 | 7 | 1 | 10 | 20-24 | 22 |
| 16.პალერმო | 18 | 5 | 3 | 10 | 18-29 | 18 |
| 17.ჯენოა | 18 | 4 | 4 | 10 | 17-26 | 16 |
| 18.ფროზინონე | 18 | 4 | 3 | 11 | 19-36 | 15 |
| 19.კარპი | 19 | 3 | 5 | 11 | 17-34 | 14 |
| 20.ვერონა | 18 | 0 | 8 | 10 | 12-30 | 8 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალკორკონი-ხირონა ....................... 1:0
ხიმნასტიკი-ლუგო ........................... 1:2
მირანდესი-ალმერია ....................... 1:1
ვალიდოლიდი-ელჩე ........................ 1:1
ნუმანსია-ალავესი ........................... 0:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლიონი-ტრუა .................................... 4:1
ანჟე-კაენი ........................................ 0:0
მონაკო-გაზელეკი ........................... 0:2
მონპელიე-ბორდო ........................... 0:1
რეიმსი-ტულუზა .............................. 1:0
რენი-ლორიანი ................................ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 20 | 17 | 3 | 0 | 50-9 | 54 |
| 2.ანჟე | 20 | 9 | 7 | 4 | 19-11 | 34 |
| 3.მონაკო | 20 | 8 | 9 | 3 | 27-25 | 33 |
| 4.კაენი | 20 | 9 | 3 | 8 | 21-24 | 30 |
| 5.ნიცა | 19 | 8 | 5 | 6 | 32-23 | 29 |
| 6.ლიონი | 20 | 8 | 5 | 7 | 27-24 | 29 |
| 7.სტ.ეტიენი | 19 | 9 | 2 | 8 | 22-22 | 29 |
| 8.რენი | 20 | 6 | 10 | 4 | 27-23 | 28 |
| 9.ლორიანი | 20 | 6 | 9 | 5 | 29-28 | 27 |
| 10.ბორდო | 20 | 6 | 8 | 6 | 24-28 | 26 |
| 11.მარსელი | 19 | 6 | 7 | 6 | 28-21 | 25 |
| 12.გაზელეკი | 20 | 6 | 7 | 7 | 22-24 | 25 |
| 13.ლილი | 19 | 5 | 9 | 5 | 15-13 | 24 |
| 14.ნანტი | 19 | 6 | 6 | 7 | 14-17 | 24 |
| 15.მონპელიე | 20 | 6 | 4 | 10 | 22-26 | 22 |
| 16.ბასტია | 20 | 6 | 4 | 10 | 20-26 | 22 |
| 17.რეიმსი | 20 | 5 | 6 | 9 | 20-27 | 21 |
| 18.ტულუზა | 20 | 4 | 8 | 8 | 24-34 | 20 |
| 19.გენგამი | 19 | 5 | 4 | 10 | 17-27 | 19 |
| 20.ტრუა | 20 | 0 | 8 | 12 | 11-39 | 8 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

რედ სტარი-ლანსი .......................... 1:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

გიმარაეში-აროუკა .......................... 2:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ატრომიტოსი-პლატანიასი ............ 0:0
ვერია-პანთრათიკოსი ..................... 0:0
აეკი-ქსანთი ..................................... 2:1

**ჩოგბურთი**

**ატპ. დოჰა**

**ფინალი**

ჯოკოვიჩი-ნადალი ...................... 6:1;6:2

**ატპ. ბრისბენი**

რაონიჩი-ტომიჩი ........................ 7:6;7:6
ფედერერი-ტიემი ........................ 6:1;6:4

## პლეიბოი ჰიუ ჰეფნერის სახლს ყიდის



კომპანია პლეიბოი ენტერპრაისი აპირებს, გასაყიდად გამოიტანოს თავისი ცნობილი სახლი ლოს-ანჯელესში, რომელშიც ჟურნალის დამაარსებელი ჰიუ ჰეფნერი ცხოვრობს.

პლეიბოი მენსონი, რომელიც 1927 წელსაა აშენებული, 2,5 ჰექტარი ფართობის მამულზე მდებარეობს და გასაყიდად თებერვალში იქნება გამოტანილი. პლეიბოი ენტერპრაისი მასში მინიმუმ 200 მილიონი დოლარის მიღებას გეგმავს.

ამავე დროს, უძრავი ქონების სააგენტოსთან დაახლოებული წყაროები მიიჩნევენ, რომ 200 მილიონი დოლარი მეტისმეტად მაღალი ფასია, ვინაიდან თავად, სავარაუდოდ, თავად სახლს დაანგრევენ. თავად ნაკვეთი დაახლოებით 60 მილიონი დოლარი ღირს, ხოლო მისი მფლობელის ცნობადობიდან გამომდინარე, ფასი შესაძლოა მესამედით გაიზარდოს.

ამასთან, მამულის მყიდველს კიდევ ერთი პირობის შესრულება მოუწევს: უზრუნველყოს ბინაში 89 წლის ჰიუ ჰაფნერის ცხოვრება მის გარდაცვალებამდე.

## იაპონიიდან ჰონგკონგელი ძაღლი გამოაძევეს



ძაღლი ჰონგ კონგიდან იაპონიაში თავისი პატრონის ჩანთით ჩაფრინდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცვერგშნაუცერის ჯიშის ძაღლი პატრონის ჩანთაში მაშინ ჩაძვრა, როდესაც ის სამგზავროდ ნივთებს აგროვებდა. მიუხედავად იმისა, რომ შინაური ცხოველის უჩვეულო მოგზაურობას ახსნა ვერ მოეძებნა, იაპონიის ხელისუფლებამ განკარგულება გასცა, რომ ძაღლი უკან, ჰონგ კონგში დააბრუნონ.

მამაკაცი, რომლის ვინაობა არ სახელდება, იაპონიის სიდიდით მეორე კუნძულ ჰოკაიდოზე გაემგზავრა, რათა იქ თავისი ოჯახის წევრები მოენახულებინა. ადგილზე ჩაფრენისას მან ჰონგ კონგიდან თავისი სიდედრისგან სმს-ი მიიღო, რომელმაც შეატყობინა, რომ მისი ძაღლი დაიკარგა, მაგრამ აეროპორტში ბარგის მიღების შემდეგ მან ძაღლი ჩანთაში აღმოაჩინა.

უცნობია, თუ როგორ ვერ აღმოაჩინეს ცხოველი ბარგის შემოწმებისას ჰონგ კონგისა და ჰოკაიდოს აეროპორტებში. ძაღლის პატრონის თქმით, მას თავისი ცხოველი არ შეუნიშნავს, როდესაც ჩანთის ელვა შესაკრავს კრავდა.

## ფრანგი ბაგირზე მოსიარულე დაიღუპა



ფრანგი ბაგირზე მოსიარულე ტანკრედ მელე თავისი ერთ-ერთი ილეთის შესასრულებლად მზადებისას 30 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა და დაიღუპა. ეს უბედური შემთხვევა საფრანგეთში დრომის დეპარტამენტში მოხდა.

ილეთის რეპეტიციის დროს მამაკაცი ბაგირზე გადადიოდა, რომელიც მიწაზე განთავსებულ ორ საჰაერო ბურთს შორის იყო გაჭიმული. გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთმა ბურთმა მოულოდნელად აფრენა დაიწყო. მელე საჰაერო ბურთის კალათის კიდეს ხელებით ჩამოეკიდა, მაგრამ მიწიდან 30 მეტრის სიმაღლეზე კალათას მოსწყდა და ჩამოვარდა.

მელე, რომელიც აკრობატული ჯგუფის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო, მსოფლიოს ექსტრემალური სპორტის სამყაროში კარგად იყო ცნობილი. ის დაკავებული იყო ბაგირზე სიარულით, სკაილაინით (დიდ სიმაღლეზე ბაგირზე სიარული), ვინგსიუტით (კოსტიუმი-ფრთით პარაშუტით ხტომა) და ექსტრემალური სპორტის სხვა სახეობებით.

## დანიელებმა ზედმეტად შრომისმოყვარე კამერუნელი სტუდენტი სამშობლოში დააბრუნეს



დანიის ხელისუფლებამ სამშობლოში დააბრუნა ორჰუსის უნივერსიტეტის კამერუნელი სტუდენტი მარიუს იუბი, რისი მიზეზიც მისი მეტისმეტი შრომისმოყვარეობა გახდა.

30 წლის აფრიკელი სტუდენტი თავისუფალ დროს დამლაგებლად მუშაობდა, მაგრამ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში სამსახურში კვირაში 90 წუთით მეტ დროს ატარებდა, ვიდრე ეს დაშვებულია. დანიის შრომის კანონმდებლობით, უცხოელ სტუდენტებს კვირაში 15 საათზე მეტი დროის სამუშაოზე გატარება ეკრძალებათ.

იუბი სახლში 7 იანვარს გაემგზავრა. ორჰუსის უნივერსიტეტში აღიარეს, რომ ასეთი სასჯელი მეტისმეტად მკაცრია და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ახალგაზრდა აფრიკელი სწავლის საფასურს ყოველთვის დროულად იხდიდა.

ასევე აღსანიშნავია, რომ იუბი უნივერსიტეტის ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი იყო. სამშობლოში გამგზავრებამდე აფრიკელ სტუდენტს გამოცდების ჩაბარების უფლება მისცეს. კამერუნელმა ერთ დღეში სამი საკონტროლო სამუშაო დაწერა და საუკეთესო შედეგი აჩვენა.

ინტერნეტში კამერუნელის სწავლის გასაგრძელებლად დაბრუნების პეტიციას ხელი უკვე 18 ათასზე მეტმა ადამიანმა მოაწერა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 11 იანვრისთვის



**ვერძი** – დაძაბული დღეა. შესაძლოა, სამსახურში კონფლიქტი წარმოიშვას უფროსობასთან და კოლეგებთან. ნებისმიერი პატარა კამათი დიდ სკანდალში გადაიზრდება. **კურო** – მამაკაცები უნდა ერიდონ ფიზიკურ დატვირთვასა და ნერვულ დაძაბულობას. აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება ჯანმრთელობას. იკვებეთ სწორად. **ტყუპები** – ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. ნერვებს გაუფრთხილდით. ემოციები მოთოკეთ. **კირჩხიბი** – წინააღმდეგობრივი, რთული დღეა, შესაძლოა, გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. **ლომი** – ვარსკვლავები გაფრთხილებენ – არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ არანაირი შემოთავაზება. დიდია რისკის ალბათობა. ნურავის მიენდობით, შესაძლოა, მოგატყუონ. **ქალწული** – მიუხედავად სირთულისა, შეეცადეთ, გარშემომყოფებთან ურთიერთობის დროს კონფლიქტი თავიდან აიცილოთ. საღამოს აუცილებლად გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე. **სასწორი** – აუცილებლად შეურიგდით ადამიანებს, რომლებთანაც კონფლიქტი გაქვთ. მეტი დრო დაუთმეთ მეგობრებთან ურთიერთობას. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ, გიჯობთ, ძველი დაამთავროთ. **ღრიანკალი** – მოსალოდნელია ცვლილებები კარიერაში, საზოგადოებრივ სფეროში. ჯანმრთელობას სერიოზულად მიხედეთ. **მშვილდოსანი** – ნუ იქნებით ნოვატორი. ზედმეტი მიამიტობა და მიმნდობი ბუნება დღეს ზიანს მოგიტანთ. ერიდეთ მატყუარა ადამიანებს. ისწრაფეთ სრულყოფილებისკენ. **თხის რქა** – მძიმე დღეა. დაძაბულობა იზრდება. საკუთარი შეცდომები გააანალიზეთ და გამოასწორეთ. კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ მშვიდი და გულითადი საუბრის შედეგად მოხერხდება. **მერწყული** – იოლად არავის მიენდოთ, თორემ იმედი გაგიცრუვდებათ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. თავი აარიდეთ უსარგებლო საუბრებს. უფროსობასთან საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. **თევზები** – ემოციურად დაძაბული დღეა. ბიზნესში აქტიურობა სასიკეთოდ წაგადგებათ. მეგობრების რჩევები ყურად იღეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ოქრიაშვილი სათამაშოდ თურქეთის აუტსაიდერში გადადის

*სპორტი*

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების შემტევი ნახევარმცველი თორნიკე ოქრიაშვილი, სავარაუდოდ, კარიერას თურქეთში გააგრძელებს.



ბელგიური მედიის ცნობით, ოქრიაშვილის შეძენით თურქეთის სუპერლიგაში მოასპარეზე ესკიშეჰირსფორია დაინტერესებული. თურქებს სურთ, რომ სეზონის ბოლომდე ქართველი იჯარით აიყვანონ, ხოლო შემდეგ ბელგიის „გენკიდან“ მისი სატრანსფერო უფლება 2,5 მილიონ ევროდ გამოისყიდონ.

დიდი ალბათობით, მოლაპარაკების საკითხები დღეს გადაწყდება.

ესკიშეჰირი თურქეთის სუპერლიგაში ბოლო ადგილზეა და გასავარდნ ზონას 4 ქულით ჩამორჩება. თუ გუნდი პირველ ლიგაში გადავა, მაშინ თურქებს ოქრიაშვილის გამოსყიდვის უფლება არ ექნებათ.

**მ. ჟ.**

## მკურნალი მცენარე

### შტოშის წვენი გაციების დროს



შტოშის წვენი კარგია გაციების საპროფილაქტიკოდ და სამკურნალოდ. მას აქვს სიცხის დამწევი ეფექტი, შესანიშნავად კლავს წყურვილს, ორგანიზმიდან გამოდევნის ტოქსინებს, რომლებიც მასში ავადმყოფობისას გროვდება. ყელის ტკივილის დროს ძალიან კარგია თაფლგარეული შტოშის წვენი. შტოში ამაღლებს იმუნიტეტს.

აურიეთ ერთმანეთში 1 კგ კენკრა, დაჭრილი ვაშლი, 2 ჭიქა ნიგოზი და დაასხით 1 ჭიქა წყლისა და 2,5 კგ შაქრისგან მომზადებული სიროფი. ნარევი 30 წუთის განმავლობაში ადუღეთ ნელ ცეცხლზე და ქილებში გადაიღეთ. ყოველ დილით მიიღეთ თითო სუფრის კოვზი და დააყოლეთ თბილი წყალი.შტოში ზრდის კაპილარების სიმტკიცესა და ელასტიკურობას, ამიტომ სპეციალისტები ვარიკოზის დროს მის მიღებას გვირჩევენ. შტოშისა და ჭარხლის წვენის ნარევი მაღალი წნევის შემთხვევაში დაგეხმარებათ.

შტოშს, როგორც ცოცხალს, ისე გადამუშავებულს, ფართოდ იყენებენ გასტრიტისა და კოლიტის სამკურნალოდ. ცოცხალი კენკრა და მისი წვენი, ასევე – სიროფი, კისელი და მურაბა აძლიერებს კუჭისა და პანკრეასის წვენის გამოყოფას. შტოში ასევე სასარგებლოა დაბალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტისა და კუჭქვეშა ჯირკვლის ანთების დროს.

## სკანვორდი



1. კურკოვანი ხილი; 2. აღმოსავლური შაში; 3. სამშენებლო მასალა; 4. ქართველი პოლიტიკოსი; 5. სარწყავი არხი; 6. შინაგანი ორგანო; 7. ინგლისელი ჰუმანისტი; 8. ხანა, ეპოქა; 9. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 10. საიალქნე ძელი; 11. ღირებულება; 12. სახელმწიფო აფრიკაში; 13. შხამიანი ბუზი; 14. ხეთების ქალღმერთი; 15. ბადმინტონის ბურთი; 16. ფეხბურთელის ფეხსაცმელი; 17. ტბა რაჭის ქედზე; 18. ქონება, სიმდიდრე; 19. ... ღურწკაია; 20. ქალიშვილი ინგლისში; 21. სამკუთხედის წვეროსა და მოპირდაპირე გვერდის შუაწერტილის შემაერთებელი მონაკვეთი; 22. ტბა ციმბირში; 23. ლაბადა; 24. ფრანგული ცეკვა; 25. სუბტროპიკული მცენარე; 26. ღამის პეპელა; 27. თაღი; 28. საგანგებოდ დამუშავებული ლითონი; 29. მუშკეტერი დიუმასთან; 30. სიგრძის ერთეული [ძვ.]; 31. ცხენის ტვირთი; 32. სურნელოვანფოთლებიანი ხე; 33. ნამუსი; 34. ალგორითმული ენა.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფოკა; 2. ქორქი; 3. ამირა; 4. ბორტი; 5. ტოლედო; 6. კარამელი; 8. ილუმინაცია; 10. გიბრალტარი; 11. მინიატურა; 14. კვაისა; 15. რაბათი; 16. „პეპსი“.

**თარაზულად:** 1. ფუნქცია; 4. ბოტანიკა; 7. კიური; 9. ბანგი; 12. „ბოჟოლე“; 13. ტუსკი; 14. „კოდაკი“; 17. „ფაუსტი“; 18. ემანსიპაცია; 19. სარქალი; 20. ლიკუდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მსჯავრი; 2. ჩედერი; 3. შუშაბანდი; 4. ქურუმი; 5. კემპინგი; 7. იორი; 11. ნექტარი; 13. ბოლღიწო; 15. აპაში; 16. ბასრა; 18. შტაბი; 19. ლორდი.

**თარაზულად:** 6. სატივე; 8. კეტჩუპი; 9. ჰარლემი; 10. ვივიენი; 12. ქიმია; 14. ბიზონი; 17. დუღაშვილი; 20. დიაფანი; 21. უშქარი; 22. ბერდია; 23. საფიხვნო.

# თბილისის საახალწლო განათება სიენენის ობიექტივში მოხვდა

მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე რეიტინგულმა ტელეკომპანია სიენენმა მსოფლიოს იმ სახელმწიფოების ჩამონათვალი გამოაქვეყნა, რომლებიც ყველაზე ლამაზად და ორიგინალურად არის მორთული საახალწლოდ.



საქართველო, უნგრეთი, მონაკო, ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, საფრანგეთი, აშშ, ბრაზილია, სინგაპური, ინდოეთი, გერმანია, შვეიცარია, ახალი ზელანდია – ეს იმ სახელმწიფოების ჩამონათვალია, სადაც, სიენენის აზრით, ყველაზე ლამაზი და ორიგინალური საშობაო-საახალწლო განათებებია.

სიენენის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულია 16 სურათი, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორაა განათებული შობა-ახალი წლის დღესასწაულებზე მსოფლიოს ქალაქები.

თბილისის საახალწლო განათება იტალიის ერთ-ერთი არხის საინფორმაციო გამოშვებაშიც მოხვდა.

ჟურნალისტმა მსოფლიოს საუკეთესო ნაძვის ხეებსა და საახალწლო მორთულობებზე მოამზადა სიუჟეტი და მასში თბილისის საახალწლო განათება და გაბრწყინებული თავისუფლების მოედანიც მოხვდა.

# ლიკა ყაზბეგი წარმატებულ ქალებს პოდიუმზე გამოიყვანს

ლიკა ყაზბეგი 12 იანვარს უკვე მერვედ განახორციელებს თავის პროექტს „წარმატებული ქალი პოდიუმზე“.



ლიკა ყაზბეგს მათი დასახელება წინასწარ არ სურს, რადგან ურჩევნია, ისინი საზოგადოებამ პირველად პოდიუმზე იხილოს, თუმცა „ახალ თაობას“ მაინც გაუმხილა ორი მათგანის ვინაობა.

ესენი არიან რუსთაველის თეატრის მსახიობი დარეჯან ხარშილაძე და საოპერო მომღერალი თეა დემურიშვილი, რომელიც თეა დემურის ფსევდონიმითაც არის ცნობილი.

**ლიკა ყაზბეგი:**

– ეს იქნება ჩემი მერვე „წარმატებული ქალი პოდიუმზე“ და მიხარია, რომ ინტერესი ამ პროექტის მიმართ იზრდება. შარშანაც საჯარო ბიბლიოთეკაში ჩავატარეთ ეს ღონისძიება და წელსაც იქ შევიკრიბებით, რადგან გვსურს სილამაზესთან ერთად წიგნიერების, პოეზიის, ლიტერატურის პოპულარიზაცია.

შარშანდელ პროექტში მონაწილეობდნენ ქეთათო და გიორგი კეკელიძე.

– წელს პოეტებისა და მუსიკოსების რაოდენობა გავზარდეთ და ჩავრთეთ ახალგაზრდა პოეტები ირაკლი ასლანიკაშვილი, გოგა ბოჭორიშვილი და ბაჩო რამიშვილი, – გვითხრა ლიკა ყაზბეგმა.

***– რამდენ წარმატებულ ქალს გამოიყვანთ პოდიუმზე?***

– ახლა 20-მდე წარმატებული ქალი გამოვა პოდიუმზე. საბედნიეროდ, წარმატებული ქალების რიცხვი არ მცირდება, პირიქით, პროექტიდან პროექტამდე სულ უფრო მეტ ქალს ვიცნობ, რომლებიც საკუთარ საქმეში პროფესიონალები არიან. მათთან ერთად პოდიუმზე გამოვლენ ჩემი სამოდელო სტუდიის მოდელებიც.

# სამგლოვიარო განცხადებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ პროფესორ ელგუჯა მექვაბიშვილს გარდაეცვალა მამა

**გივი მექვაბიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრისა და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ პროფესორ ელგუჯა მექვაბიშვილს მამის

**გიორგი მექვაბიშვილის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**



# ნინი ბრეგვაძე სადებიუტო ალბომზე მუშაობს

მომღერალი ნინი ბრეგვაძე, რომელიც ფართო საზოგადოებამ „იქს ფაქტორიდან“ გაიცნო, სადებიუტო ალბომზე მუშაობს.

ნინიმ ორი სინგლი უკვე ჩაწერა და ალბომის პრეზენტაციას თავის ერთგულ მსმენელს გაზაფხულზე ჰპირდება.

ნინი ბრეგვაძე:

– მეორე სიმღერის ჩაწერაც დავამთავრე. ალბომში შევა 10 ინგლისურენოვანი ჩემი საკუთარი სიმღერა.

ყველაფერს ვაკეთებ, რომ ყველა სიმღერა იყოს მაქსიმალურად ყველა გემოვნების ადამიანზე გათვლილი.

შედეგს, თუ რამდენად გამომივა ეს ყოველივე, ყველანი ერთად ვნახავთ მარტში.

# ბექა ხოფერია გოგონას მამა გახდა

მომღერალ თიკა ჯამბურიას ყოფილი მეუღლე, ბექა ხოფერია, გოგონას მამა გახდა. მას მეუღლემ, ინა ხოფერიამ, გოგონა გაუჩინა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. მშობლებმა პატარას ალექსანდრა დაარქვეს.



ეს სასიხარულო ინფორმაცია ბექამ სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

– ორგზის მამა ვარ! ყველაზე ბედნიერი კაცი ვარ! ალექსანდრა ხოფერია დაიბადა! მიყვარხარ, ინა ხოფერია, მადლობა ყველაფრისთვის!

ინასთვის ეს პირველი შვილია, ბექასთვის კი – მეორე. მას პირველი ქორწინებიდან თიკა ჯამბურიასთან ასევე გოგონა, ნინა ჰყავს.

მიუხედავად იმისა, რომ ბექა მოსკოვში ცხოვრობს და თითქმის ვერ ნახულობს თბილისში დარჩენილ შვილს, დიდი სურვილი აქვს, დებს ერთმანეთის მიმართ კარგი დამოკიდებულება ჰქონდეთ.

როგორც თიკამ განაცხადა, არც მას აქვს საწინააღმდეგო რაიმე დების ურთიერთობასთან დაკავშირებით და მხოლოდ გაუხარდება, თუკი ნინა და ალექსანდრა დამეგობრდებიან.

# თაღლითები სერიალის „შუა ქალაქში“ სახელით სარგებლობენ




გახმაურებული ქართული სერიალი „შუა ქალაქში“ 10 წლის შემდეგაც არ კარგავს პოპულარობას. მისი პოპულარობით კი თაღლითები სარგებლობენ.

ინტერნეტში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, სერიალის შემქმნელები თითქოსდა აიფონებს ათამაშებენ:

– მოგესალმებით საახალწლო გათამაშებით... ჩვენ ვაძლევთ 250 აიფონს კომპლექტი 20/2015, 250 იღბლიანი გამარჯვებული, მიიღებს წერილს ფეისბუკზე 10:00 საათზე. ამისთვის საჭიროა: პირველი ნაბიჯი – მოიწონეთ გვერდი, მეორე ნაბიჯი – მოიწონეთ ეს პოსტი, მესამე ნაბიჯი – დაწერეთ კომენტარებში თქვენი ფერი (აიფონის) და მეოთხე ნაბიჯი – გააზიარეთ თქვენს კედელზე. წარმატებებს გისურვებთ ყველას.

ამ განცხადებას ფეისბუქში გვერდი „შუა ქალაქში“ ავრცელებს და ბევრი მოწონება და გაზიარებაც აქვს.

როგორც სერიალის ოფიციალური გვერდი იტყობინება, ეს არ არის კონკურსი, მით უმეტეს, მათი შემოქმედებით ჯგუფის მიერ ორგანიზებული, ამიტომაც მოუწოდებენ სოციალური ქსელის მომხმარებლებს, გავრცელებულ ინფორმაციას არ ენდონ.

# ია ფარულავას ტელევიზიები უარს ეუბნებიან

მსახიობი ია ფარულავა ბოლო პერიოდში ბევრს ფიქრობს საკუთარი გადაცემის გაკეთებაზე და პროექტიც უკვე დაწერილი აქვს, მაგრამ ტელევიზიები მის განხორციელებაზე უარს ეუბნებიან:



**ია ფარულავა:**

– ერთი ტელევიზია მეუბნება, მე ამას ვერ გავქაჩავ, არ მეყოფა ამის რესურსიო, მეორეს ეშინია და ამბობს, ჩემი ფორმატი არააო (უცენზუროა) და რა ვქნა ახლა მე?!

მე ან ძალიან გიჟური გადაცემა უნდა გავაკეთო, ან არანაირი... მომბეზრდა ის, რასაც ვუყურებ, „გამარჯობათ, დღეს ჩვენ ვსაუბრობთ ღალატზე და სტუმრად მოვიწვიეთ ფსიქოლოგი და სექსოლოგი და“... ისა და ესა... ან კიდევ „აი შენ შენ, რომელიც ახლა ჩვენ გვიყურებ ბლა ბლა ბლა“...

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი



# ჯასტინ ბიბერი მორიგ სკანდალში გაეხვია

კანადელი მომღერალი ჯასტინ ბიბერი მექსიკაში კოლუმბამდელი მაიას ცივილიზაციის ქალაქ ტულუმის არქეოლოგიური გათხრების მონახულების დროს სკანდალში გაეხვია. მომღერალმა შემოღობილ ტერიტორიაზე შეღწევა ცადა, რის შემდეგაც მას გათხრების ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს.

მომღერლის გარემოცვასთან დაახლოებული ინფორმირებული წყაროს გადმოცემით, ადგილი ჰქონდა უბრალო გაუგებრობას. ბიბერი არქეოლოგიური გათხრების მახლობლად ისვენებდა, რომლის დროსაც ესტუმრა ეკოტურისტულ კოოპერატივს და მონაწილეობა მიიღო ცერემონიალში, რომელიც ადგილობრივმა შამანმა ჩაატარა.

ტულუმი კოლუმბამდელი მაიას ტომის ცივილიზაციის ქალაქია, რომელიც ქალაქ კობასთვის პორტის მოვალეობას ასრულებდა. ქალაქის ნანგრევები ნახევარკუნძულ იუკატანის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მექსიკის შტატ კინტანა-როოში მდებარეობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 11 იანვარი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** დ/ფ "საშობაო ნათურების შემოსევა-ევროპა" **12.30** "ფერმა" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმი ოლივერი: დიდი ბრიტანეთი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** დ/ფ "რომაული ელეგანტურობა" **21.30** ევროპის საუკეთესო ფეხბურთელების დაჯილდოების ცერემონია. (პ/ციურიხიდან.) **23.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**მაკარტური**" (გ.პეკი)

**08.00** დ/ფ "ფერების სამყარო" **09.00** მხ/ფ "**ჩემი მეგობარი თოვლის ბაბუა**" I-II სერ. **12.00** დ/ფ "ტაილანდი" **12.30** წყალბურთი – ევრო-**2016: საქართველო – რუმინეთი** **14.30** დ/ფ "ავსტრალია" **14.00, 16.00, 18.00, 22.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **15.00, 17.00, 19.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** მხ/ფ "**ედი ტელევიზორიდან**" (ვ.ჰარელსონი)

**06.00, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **9** სერ. **11.20** სერ. "**რჩეული**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00, 23.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ**" **7-8** სერ. **02.10** მხ/ფ "**მეოთხე მეფე**" (მ.გ.კუჩინოტა) **03.45** ერთხელ საქართველოში **04.35** მხ/ფ "**კოდი**"(ჯ. ქიუსაკი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.40** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.55** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.55** სერ. "**აღთქმა**" **22.00** ქ.მხ/ფ. "**კრიმინალები**" - პრემიერა **23.30** კონცერტი "ბუბა" **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი-"ნეტარი პიმენი" **06.45** ქართული ალბომი **07.10** მოკ.მხ/ფ "**ქვევრი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს. პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**არდადეგებზე**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "დუმფარა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართ. ან/ფ **15.35** ბავშვები მუზეუმში **15.50** სპექტაკლი "**ძველი ვოდევილები**" **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**შეხვედრა მთაში**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** საქართველოს ქალაქები-ქუთაისი **22.45** საქართველოს სამართლის ისტორია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.25** დ/ფ "ჩიჩილაკი" **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ყოჩაღი ბიჭები" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05, 3.30** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუზეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 1.00** სერ. "**ტატიანა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.05, 17.05** სერ. "**ჩვენ გვერდით**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ყველაფერი ახლა იწყება**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**ეკატერინა**" **23.30** "კონტაქტი" **0.00** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **2.00** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

11 იანვრისთვის

აშშ დოლარი — 2.4174

ევრო — 2.6270

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5311

100 რუსული რუბლი — 3.2699

## ამინდის პროგნოზი 11 იანვრისთვის






## კალეიდოსკოპი

### მომგებიანი ლატარიის ბილეთი აუქციონზე გაიყიდება

მიჩიგანში აუქციონზე გასაყიდად გაიტანენ ლატარიის ბილეთს, რომელსაც ყოველთვიურად ათასი დოლარი მოგება მოაქვს გადასახადების გაუთვალისწინებლად.

ბილეთი ეკუთვნოდა დონალდ მეგეტის, რომელმაც 1984 წელს ლატარიაში მოიგო. მას შემდეგ ის ყოველთვიურად ათას დოლარს იღებს. ბოლო წლებში, მისი გაკოტრების შემდეგ, ფულს მისი საქმეთა მმართველი ტომი რიჩარდსონი იღებდა ვალების დასაფარად.



მომგებიანი ლატარიის ბილეთის საწყისი ფასი 30 ათასი დოლარია. ეს იმას ნიშნავს, რომ კიდევ რამდენიმე წელი იქნება საჭირო იმისთვის, რომ ლოტმა მის ახალ მფლობელს მოგება მოუტანოს, თუმცა არც ესაა გარანტირებული, ვინაიდან თანხის გადახდა მეგეტის სიცოცხლის ხანგრძლივობითაა შეზღუდული, რომელიც ამჟამად 73 წლისაა.

### იისფერი კნუტი ბრმა კატას დაუმეგობრდა

კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-ხოსეს მახლობლად მდებარე გზის პირას დაგდებულ ყუთში ნაპოვნი კნუტი, სახელად სმურფი, რომლის ბეწვი ვიღაცამ იისფრად შეღება, ბრმა კატას, სახელად ვანდას დაუმეგობრდა.

ცხოველებმა ერთმანეთი რედვუდ სიტიზე მდებარე თავშესაფარში გაიცნეს. მათ შორის ჩამოყალიბდა მეგობრული ურთიერთობა. ისინი გამუდმებით ერთმანეთს ლოკავენ და იმდენად დიდ დროს ატარებენ ერთად, რომ ვანდას ბეწვზე ზოგიერთ ადგილზე იისფერი ლაქები გაჩნდა.



სმურფი, რომელიც ამჟამად ორი თვისაა, თავშესაფარში ორი თვის წინ მოხვდა. როდესაც ის იპოვეს, იმის გარდა, რომ ბეწვი იისფრად ჰქონდა შეღებილი, სხეულის ზოგიერთ ადგილებში ნაკბენები და ნაჭრილობევები ეტყობოდა, ხოლო მისი წონა კილოგრამსაც ვერ აღწევდა.

ექიმ მონიკა რუდიგერის თქმით, სავარაუდოდ, სმურფი გართობის მიზნით აწვალეს.

— ვფიქრობ, რომ კნუტი ძაღლის სათამაშოდ გამოიყენეს, — აღნიშნა რუდიგერმა, რომელმაც ასევე დაამატა, რომ კნუტს წინა და უკანა თათები აქვს დაზიანებული. მას გაუკეთდა ოპერაცია და ახლა ის გამოჯანმრთელების გზაზეა დამდგარი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. პერანგი; 7. კოვბოური ფილმი; 8. გამის პირველი ძირითადი ტონი; 10. ...გურგულია; 11. დანიის პარლამენტის ზედა პალატა; 13. ორგანიზმების ერთობლიობა, რომლებიც წყლის მოძრაობასთან ერთად მოძრაობენ; 16. ღმერთების კრებული ბერძნულ მითოლოგიაში; 19. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 20. ესპანურ-პორტუგალიური სამანძიანი ხომალდი.

**შვეულად:** 1. კეთილხმოვნება; 2. მოძღვრება მორალის შესახებ; 3. ბანაკი ავტოტურებისთვის; 4. პატარა მღრღნელი; 5. სხვადასხვა სიმაღლის ყველა ბგერის ერთობლიობა; 9. ინდუიზმის ღვთაება; 12. ეკლესიის ან მონასტრის გარშემო დახურული გალერეა; 14. ცხენის მუხლა; 15. ბოლქვიანი მცენარე; 17. ბამბუკის დათვი; 18. ცხვრის ჯოგი.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**



## მილუოკის ბოდიში ფაჩულიას



დასანანი მატჩი წააგო ზაზა ფაჩულიას დალასმა მილუოკიში. შეხვედრის დასრულებამდე 9 წამით ადრე კრის მიდლტონმა გარღვევა შედეგიანად დააგვირგვინა და მასპინძლები 96:95 დააწინაურა. საფინალო სირენის თანხლებით ნასროლი დერონ უილიამსის ორქულიანი კი კალათში არ ჩაეშვა.

როცა მავერიკსმა მილუოკელებს უმასპინძლა და სძლია, ქართველი ცენტრი ყოფილ გუნდთან მატჩის საუკეთესო შედეგიანობით გამოირჩა და ასე იყო ამჯერადაც – 9 ქულით, 15 (8 მეტოქის ფარზე) მოხსნით, 3 პასით და 1 ჩაჭრით ზაზა დალასელთაგან საუკეთესო იყო. მართალია, მავერიკსში 20 ქულით ბომბარდირი ნოვიცკი გახდა, ხოლო დევინ ჰარისმა 19 ქულა მიითვალა, მაგრამ გამაერთიანებელი სტატისტიკით ტეხასურ გუნდში საუკეთესო შედეგი ქართველ ცენტრს ჰქონდა.

ზაზამ 6-დან 4 ორქულიანი ესროლა ზუსტად, ხოლო 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ მატჩის მიმდინარეობისას ქართველ ცენტრის მიმართ ყოფილი გუნდის გულშემატკივართა მცირე ჯგუფი შემდეგი შეძახით სკანდირებდა — დაჯექი ზაზა.

მატჩის დასრულების შემდეგ სოციალურ ქსელში ფაჩულიამ გულშემატკივრებს იდიოტების ჯგუფი უწოდა, მილუოკიმ კი ქართველ კალათბურთელს ბოდიში მოუხადა:

— მხოლოდ სიყვარულით ვართ გამსჭვალული შენ მიმართ. მათი ქცევა არ ყოფილა ჩვენი გულშემატკივრების გამომხატველი და ბოდიშს ვიხდით ამის გამო.

21 მოგებითა და 16 მარცხით დალასი დასავლეთ კონფერენციაში მე-5 ადგილზეა. მილუოკიდან ფაჩულიას გუნდი მინესოტაში გადაინაცვლებს, სადაც ტიმბერვულვზს დაუპირისპირდება.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## ვიეტნამში ციდან რუსული სფეროები ცვივა



ვიეტნამის ხელისუფლება საგონებელშია ჩავარდნილი ქვეყნის მოქალაქეების მიერ შემოსული შეტყობინებების გამო, რომელიც ლითონის სფეროების ჩამოვარდნას შეეხება. სამი სფეროს ფორმის ლითონის საგანი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ჩამოვარდა.

თვითმხილველების თქმით, მათ ქუხილის მსგავსი ხმა გაიგონეს, ხოლო როდესაც ქუჩაში გამოვიდნენ, უცნაური ბურთულები აღმოაჩინეს, რომელთა წარმომავლობა უცნობია. ერთი სფერო ბაღში ჩავარდა, მეორე შენობის სახურავს მოხვდა, მესამე კი მინდორში დაეშვა.

სფეროების დიამეტრი 40-დან 101 სანტიმეტრამდეა, ხოლო წონა – 36 კილოგრამამდე. სფეროებს ზედაპირები დამწვარი აქვთ. გავრცელებული ინფორმაციით, არცერთი მათგანი არ შეიცავს ფეთქებად ნივთიერებას.

ადგილობრივი ხელისუფლება ვარაუდობს, რომ ეს საგნები კოსმოსურ ნაგავს წარმოადგენს, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ საგნები ძალიან არაა დაზიანებული, სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბურთულები დედამიწაზე ატმოსფეროს ქვედა ფენებიდან მოხვდნენ. სხვა ვერსიით, სფეროები შესაძლოა წარუმატებლად გაშვებული ხელოვნური თანამგზავრის ნაწილებს შეადგენდეს. ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს ინფორმაციას, რომ ჩამოვარდნილი საგნები, სავარაუდოდ, რუსეთშია დამზადებული, ვინაიდან მათზე გაკეთებული წარწერები რუსულ ენაზეა შესრულებული, თუმცა თავად წარწერები მოცემული არ არის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მაიმუნებს სელფის საავტორო უფლებაზე უარი ეთქვათ



სან-ფრანცისკოს საოლქო სასამართლომ მაიმუნებს სელფის საავტორო უფლების მინიჭებაზე უარი უთხრა.

საქმის იურიდიული განხილვის მიზეზი გახდა სარჩელი, რომელიც 2015 წელს ინდონეზიელი მოქალაქის მიერ იქნა შეტანილი, რომლის ვინაობა არ სახელდება. მოსარჩელემ ფოტოგრაფი-ანიმალისტი დევიდ სლეიტერი ერთ-ერთ ნაკრძალში მცხოვრები მაკაკა ნარუტოს საავტორო უფლებების დარღვევაში დაადანაშაულა. სარჩელში ნათქვამია, რომ მაიმუნის ფოტოპორტრეტი ცხოველმა თავად გადაიღო სლეიტერის ფოტოკამერით. სურათი 2011 წელსაა გადაღებული.

სარჩელს მხარი დაუჭირა ორგანიზაციამ „ადამიანები ცხოველების მიმართ ეთიკური მოპყრობისთვის". ცხოველების დამცველები იმედოვნებდნენ, რომ ნარუტოს სახელით სურათის გამოყენებისთვის საავტორო ჰონორარებს მიიღებდნენ, ხოლო მიღებული თანხის გამოყენებას თავად ცხოველისა და მის თანამოძმეთა საჭიროებისთვის გამოიყენებდნენ.

თავის მხრივ, ფოტოგრაფი საკუთარ უფლებებს იცავდა და მას მხარს უჭერდა აშშ-ის საავტორო უფლებების რეგისტრაციის ბიურო. სლეიტერი არ უარყოფდა, რომ ფოტოაპარატი უყურადღებოდ იყო მიტოვებული, მაგრამ ის შტატივზე იყო დამაგრებული. საბოლოოდ სასამართლომ მისი სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



საწარმოს ხელმძღვანელი აცხადებს:

— თუ გვყავს ისეთები, ვისაც ცრურწმენების სჯერა?

— დიახ.

— ვისაც გჯერათ, ხელები ასწიეთ.

— ...

— ყოჩაღ, შესანიშნავია, დანარჩენები მე-13 ხელფასს მიიღებთ!

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:

— მე შენ მიყვარხარ!

— და ეგ რამდენ გოგონას უთხარი?

— ყველას.

— ყველას?!

— ჰო, ყველას ვეუბნები, რომ შენ მიყვარხარ.

•••

გერმანიის კანცლერის საახალწლო მილოცვა პირველად გადაიცა არაბული სუბტიტრებით.

მომავალი საახალწლო მილოცვა იქნება არაბულ ენაზე, გერმანული სუბტიტრებით.

მომავლისთვის გერმანული სუბტიტრების მოხსნაა ნავარაუდევი.

•••

მამაკაცი ყოველთვის იხდის ხორციელი სიყვარულისთვის: მეძავთან – ფულით, საყვარელთან – ყურადღებიანობითა და საჩუქრებით, ხოლო ცოლთან – მთელი თავისი ცხოვრებით.

•••

ხორცკომბინატის ხელმძღვანელი საწარმოში ექსკურსიაზე მყოფ ერთ-ერთ მამაკაცს ეკითხება:

– ყველაზე დიდხანს ჩვენი კომბინატის მიერ გამოშვებული რომელი ძეხვი დაგამახსოვრდათ?

– ვადაგასული.

•••

სომეხი წიგნს კითხულობს, დროდადრო ადგება, სინათლეს გამორთავს და ისევ რთავს. ცოლი ეკითხება:

– არმენჩიკ, ეგრე რათ აკეთებ?

– ვაა, გადამრევ, გადაფურცვლისას დენი ტყუილად რატომ უნდა დაიწვას?!!

•••

ცოლი ქმარს მიმართავს:

– საყვარელო, მითხარი, თვალები დილის ნისლის ფერი მაქვს?

– ჰო.

– და თმები ზღვის ტალღებივით მაყრია მხრებზე?

– ჰო.

– ტუჩები ვარდის ფურცლებს მიმიგავს?

– ჰო.

– როგორ მიყვარს, კომპლიმენტებს რომ მეუბნები!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ახალი წლის წინ სახლიდან უსარგებლო ნივთების გადაყრა დავიწყე.

– მერე?

– ცოლი დაიმალა.

•••

ერთმა ძმამ გადაწყვიტა, ძმა გაემასხარავებინა, სკამი შეღება და ელოდება. ძმამ კარი შემოაღო და ეუბნება:

– სეროჟ, იცი, მე...

– ჯერ დაჯექი და მერე მითხარი.

– მინდა გითხრა, რომ...

– ხომ გითხარი, დაჯექი და ისე მითხარი, ნუ გერიდება!

ძმა დაჯდა. სეროჟა ქირქილებს.

– აბა, ახლა მითხარი, რის თქმას აპირებდი?

– დღეს შენი ახალი ჯინსის შარვალი ჩავიცვი...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**